პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 29 (19171) კვირა, 3 თებერვალი, 1985 წელი. ფასი 3 კაპ.

ჩვენს დიად სამშობლოში

გვატყობინებენ საკდესის კორესპონდენტები

მათ სამშობლო ზრდიდა

კამენსკის რაიონის სოფელ კუზმინის მკვიდრი ი. ს. სოლიტო ომის დროს მეტყვიამფრქვევე იყო. მან გაიმეორა ალექსანდრე მატროსოვის გმირობა, მკერდით დაფარა მტრის ხანგრძლივი საცეცხლე წერტილის ამბრაზურა. ამ გმირობისათვის ი. სოლიტოს სიკვდილისშემდგომ მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. მას სამშობლოში — სოფელ კუზმინში ძეგლი აღუმართეს და სახლ-მუზეუმი გახსნეს.

სურათზე: კუზმინელი ყმაწვილები გმირის ძეგლთან. მათი სკოლა. სოლიტოს სახელს ატარებს.

ექსპედიცია კურილიიდან დაბრუნდა

იუჟნო სახალინსკი. კუნძულ ურუპზე მოპოვებული ახალი ექსპონატებით გამდიდრდა სახალინის საოლქო-სამხარეო მუზეუმის კოლექცია, რომელიც მოგვითხრობს კურილიის კუნძულების პირველ მკვლევარებზე. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ვ. ო. შუბინის ხელმძღვანელობით არქეოლოგებმა ალეუტკას უბის ნაპირებზე აღმოაჩინეს კურილოროსიის ნამოსახლარის ნაშთები, რომლებიც რუსმა პირველმკვლევარებმა და მონადირეებმა 1795 წელს დააარსეს და კუნძულზე დაახლოებით 10 წელი არსებობდა.

მოხერხებულ, ქარებისაგან სამივე მხრივ დაცულ ნავსადგურში რუსი პირველმკვლევარები აშენებდნენ სახლებს, თესავდნენ ჭვავსა და ხორბალს, ჰყავდათ პირუტყვი, ისინი იყვნენ პირველნი, ვინც მეურნეობრივად ითვისებდა კურილიას. ამას მეტყველებს მრავალი მონაპოვარი: შრომის იარაღი, საოჯახო ნივთები, სამკაულები, ფეხსაცმლის ნარჩენები, რომლებიც ადგილობრივ მეწაღეებს შეუკერავთ მოქნილი ტყავისაგან.

სურათზე: ალეუტკას უბე, რომლის ნაპირებზეც მუშაობდნენ არქეოლოგები.

შემოქმედების სათავეებთან

დუხჯირი და საინტერესო ბედის კაცია ლიტვის სსრ სახალხო მწერალი იუოზას ბალტუშისი. სიჭაბუკიდან მოჯამაგირეობდა, შეიცნო შავი მუშის მძიმე ჯაფის და უმუშევრის უუფლებობის ხვედრი ბურჟუაზიულ ლიტვაში. იყო უშუალო მონაწილე იმ ამბებისა, წინ რომ უძღოდა ლიტვაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას, გაუძლო დიდი სამამულო ომისა და ომის შემდგომი აღდგენითი პერიოდის სიძნელეების მკაცრ გამოცდას.

მწერალი-კომუნისტი იუოზას ბალტუშისი მრავალი წლის მანძილზე რედაქტორობდა ლიტვის მწერალთა კავშირის ჟურნალ „პიარგალეს", ეკავა საპასუხისმგებლო საზოგადოებრივი და სახელმწიფო პოსტები. (1959 წლიდან 1967 წლამდე ი. ბალტუშისი ლიტვის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეა). ამჟამად იგი ლიტვის სსრ მშვიდობის დაცვის კომიტეტს უდგას სათავეში.

მწერლის მოთხრობების, ნოველების, კინოსცენარების და პიესების გმირები ნათლად წარმოაჩენენ ლიტვის ეროვნულ ხასიათს.

მწერალი, რომელიც სოფელში აღიზარდა, არ სწყდება ფესვებს, რომლებიც კვებავს მის შემოქმედებას. იგი რესპუბლიკის სოფლის მცხოვრებთა ხშირი სტუმარია.

ძველი მეგობრობა, რომელიც თითქმის შვიდი ათეული წელია გრძელდება, აკავშირებს რესპუბლიკის სახალხო მწერალ ი. ბალტუშის და კოლმეურნე-პენსიონერს ანიკშაისკის რაიონიდან — ნიჭიერ თვითნასწავლ მხატვარს ხის მეჩუქურთმე ზენონას ვალუნტას. ორივენი სიჭაბუკეში ერთ მეპატრონესთან მუშაობდნენ. აძოვებდნენ ძროხებს, ოცნებობდნენ სულ სხვა ბედზე. მათი ოცნება მხოლოდ რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განხორციელდა.

სახალხო ოსტატმა ზ. ვალუნტამ, რომელიც ალიხასის პროტოტიპია — ი. ბალტუშისის რომანის „გაყიდული წლების" ერთ-ერთი მთავარი გმირია, ღია ცის ქვეშ შექმნა ხის ქანდაკებათა მუზეუმი, რომელიც ჭეშმარიტად რესპუბლიკის ღირსშესანიშნაობად იქცა. ამ ნამუშევრების უდიდესი ნაწილი აღინიშნა საერთაშორისო და საკავშირო გამოფენების დიპლომებით.

სურათზე: ძველი მეგობრები ი. ბალტუშისი და ზ. ვალუნტა ათვალიერებენ ქანდაკებათა კომპოზიციიდან ერთ-ერთს, რომლებიც ვალუნტას კარმიდამოში დგას.

საბავშვო ბაღი სკოლაში



მესამე წელია ქ. ჩიტის № 22 საშუალო სკოლაში გრძელდება ექვსი წლის ბავშვების სწავლების ექსპერიმენტი, ერთი შეხედვით აქ ყველაფერი ისეა, როგორც საბავშვო ბაღში — სეირნობა ფიჭვნარში, დღის ძილი, თამაშები სპეციალურად მოწყობილ ოთახებში.

მაგრამ დღის წესრიგშია სამი ოცდათხუთმეტწუთიანი გაკვეთილი. სასწავლო კვირა ხუთდღიანია, სასწავლო წლის ხანგრძლივობა სამი კვირით ნაკლებია უფროსკლასელებთან შედარებით. საშინაო დავალებები არა აქვთ. ბავშვები გაკვეთილებზე აქტიურად მეცადინეობენ და კარგად ითვისებენ საჭირო ცოდნას.

თავის თანატოლებთან შედარებით, რომლებიც საბავშვო ბაღებში ჩვეულებრივი პროგრამით მეცადინეობენ, ბავშვები, რომლებიც ამთავრებენ მოსამზადებელ კლასს, უფრო განვითარებული, დისციპლინიანი, კონტაქტურები არიან, აქვთ დიდი შრომის უნარიანობა და აქტიურობა ჩვეულებრივი გაკვეთილის მთელი 45 წუთის განმავლობაში.

წლევანდელი სასწავლო წლიდან უკვე ორი ათასი ექვსი წლის იმიერბაიკალელი სწავლობს მოსამზადებელ კლასში.

სურათზე: მასწავლებელი ლიუდმილა ვასილიევა და სერგო იაკოვლევი რუსული ენის გაკვეთილზე.

მალიე კორელის მუზეუმი

არხანგელსკი. არა მარტო ზაფხულობით, ზამთარშიც იზიდავს ტურისტებს თავისი თვალწარმტაცი სილამაზითა და თავისებურებით მალიე კორელი — ჩრდილოეთის ხის ხუროთმოძღვრების მუზეუმი. 80 ჰექტარ ფართობზე თავმოყრილია თვითმყოფადი არქიტექტურული ქმნილებები, რომლებიც ჩრდილოეთ დვინის აუზში შემონახულია პეტრე პირველის დროიდან ჩვენს დრომდე—შუა ცეცხლიანი ქოხები, ქარის წისქვილები, სამრეკლოები და სხვა ნაგებობები. ყოველწლიურად 200 ათასზე მეტი ტურისტი ათვალიერებს ამ მუზეუმს.

სურათზე: მალიე კორელის ღია ცის ქვეშ მუზეუმის ტერიტორიაზე.

XXVI ყრილობამ დასახა: რა გაკეთდა?

ჟინვალი: ფინიშის სწორზე

დამთავრდა ჟინვალის ჰიდროკვანძის მიწისქვეშა სამანქანო დარბაზის მშენებლობა. მთავრდება რესპუბლიკის დედაქალაქისაკენ 42-კილომეტრიანი მაგისტრალური წყალსატარის მშენებლობა. ამით ჰიდროკვანძს, რომლის აგებაც გათვალისწინებულია სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით, მშენებლობის გადამწყვეტი ეტაპი დაუდგა. ურთულესი ობიექტი შეასრულებს უნივერსალურ ფუნქციებს: სტაბილურს გახდის თბილისის წყალმომარაგებას, მნიშვნელოვნად გაზრდის საქართველოს სსრ ენერგომომარაგებას.

— ჰიდროკვანძის მშენებლები უკვე დიდი ხანია გრაფიკის გასწრებით მუშაობენ, —თქვა ლენინის ორდენოსანი „საქჰიდროენერგომშენის" ტრესტის მთავარმა ინჟინერმა გ. შალამბერიძემ. — საკმარისია ითქვას, რომ შარშანდელი წლის საგეგმო დავალება მათ ასორმოცდაათი პროცენტის გადაჭარბებით შეასრულეს. თვენახევრის შემდეგ ჰიდროსადგურის მიწისქვეშა დარბაზში შეუდგებიან 130 ათასი კილოვატი საერთო სიმძლავრის ენერგოაგრეგატების დამონტაჟებას.

ჟინვალელ ჰიდრომშენებელთა სწრაფი ტემპი განაპირობა მშენებლობაზე საუბნო იჯარის უნარიანმა გამოყენებამ, რომელმაც მუშები და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი გააერთიანა საერთო პასუხისმგებლობით და საბოლოო შედეგებისათვის საერთო დაინტერესებით. მთელ რიგ უბნებზე შრომის ნაყოფიერება ერთნახევარ-ორჯერ აღემატება გეგმით გათვალისწინებულს.

სასურსათო პროგრამა: რეალიზაციის გზები

რესპუბლიკის სოფლის საკარმიდამო პირუტყვის კომბინირებული საკვებით მომარაგებისათვის ზრუნვა იკისრა ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლდამზადებამ". მან პროდუქციის პირველი პარტია გაგზავნა ლანჩხუთის, გორის და მარნეულის რაიონებში.

— კომბინირებული საკვებით დამხმარე პირადი მეურნეობების პირუტყვის უზრუნველყოფა, — თქვა გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილემ ნ. კოხრეიძემ, —დაგვავალა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ, ადგილებზე საკვებს ანაწილებენ სამეურნეობათაშორისო დამამზადებელი სამსახურები.

წელს გაერთიანებამ უნდა გაანაწილოს 69 ათას ტონაზე მეტი კომბინირებული საკვები, რაც ხელს შეუწყობს 57 ათასი ტონა ხორცის დამზადებას.

სოფლის მოსახლეობასთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, მცხოვრებლების მიერ ჩაბარებული პირუტყვის ას კილოგრამ ცოცხალ წონაზე გამოიყოფა 121 კილოგრამი კომბინირებული საკვები. ის ხელსაყრელია როგორც სოფლდამზადებისათვის, ისე სოფლის მშრომელებისათვის. კომბინირებულ საკვებს გლეხები შეღავათიანი პირობებით იძენენ.

(საქინფორმი).

ანგარიშს აბარებს რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსი

გაიმართა საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელზეც განიხილეს რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი სამინისტროებისა და უწყებების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის 1984 წლის შედეგები, იმსჯელეს მიმდინარე წლისა და საერთოდ ხუთწლედის საგეგმო დავალებათა შესრულების ღონისძიებათა შესახებ.

სხდომაზე საბჭოს, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხთა კომისიის წევრებთან ერთად მოწვეული იყვნენ აგროსამრეწველო კომპლექსის მომსახურე უწყება-სამინისტროთა ხელმძღვანელები, მთელი რიგი წამყვანი სამინისტროებისა და უწყებების კოლეგიათა წევრები, საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების გაერთიანებათა, საწარმო-ორგანიზაციათა ხელმძღვანელები.

სხდომა გახსნა საბჭოს თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. გ. ვარძელაშვილმა.

სხდომის მონაწილეებმა მოისმინეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ლ. ა. ლურჯაიას მოხსენება. შემდეგ გამოვიდნენ საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. დ. მგელაძე, მინისტრები — საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობისა — თ. ქ. ჭაბადარი, რესპუბლიკის კვების მრეწველობისა — რ. ბ. კონცელიძე, ხორცისა და რძის მრეწველობისა — ა. ო. მოვსესიანი, დამზადებისა — შ. ი. ქანუყვაძე, რესპუბლიკის ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ე. ს. მალაზონია, რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქთევზმრეწვის" ...

... დააჭარბებს 280 მილიონ მანეთს, რაც 16 მილიონით მეტია 1983 წელთან შედარებით. ზარალიან მეურნეობათა რიცხვი 84-დან 40-მდე შემცირდა.

მეთერთმეტე ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე რესპუბლიკაში გეგმის გადაჭარბებით დამზადდა 6 ათასი ტონა მარცვლეული, 9 ათასი ტონა კარტოფილი, 48 ათასი ტონა ბოსტნეული, 269 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, 382 ათასი ტონა ციტრუსი, 15 ათასი ტონა ხორცი, 4 ათასი ტონა რძე, 3 ათასი ტონა მატყლი, 59 მილიონი ცალი კვერცხი.

რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის სამინისტროებისა და უწყებების საწარმოო ორგანიზაციებმა, აგრეთვე საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა 1984 წელს აწარმოვეს 4975,5 მილიონი მანეთის პროდუქცია, რაც 218,5 მილიონი მანეთით აღემატება დაგეგმილს. გეგმის გადაჭარბებით რეალიზებულია 189,6 მილიონი მანეთის პროდუქცია.

ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში დაგეგმილი 18186,4 მილიონი მანეთის ნაცვლად წარმოებულია 18382,9 მილიონი მანეთის სასაქონლო პროდუქცია.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში საგრძნობი წარმატებების მიუხედავად აქ ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი. მაგალითად, გასულ წელს არ შესრულებულა სახელმწიფოსათვის ყურძნის, თამბაქოს, ზოგიერთი სხვა ტექნიკური კულტურის მიყიდვის გეგმები.

მთლიანად ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე სახელმწიფო შესყიდვის გეგმის შესრულებას დააკლდა: 336,8 ათასი ტონა ყურძენი, 13,8 ათასი ტონა თამბაქო, 19,2 ათასი ტონა მზესუმზირა, 13,3 ათასი ტონა სოია, 12 ათასი ტონა ეთერზეთოვანი კულტურები.

მთლიანად ვერ შესრულდა კაპიტალური დაბანდების ...

... წლისა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი.

ამ ღონისძიებათა კომპლექსში დიდი ყურადღება ეთმობა პირუტყვის წარმატებით გამოზამთრებისა და მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მომზადების უზრუნველყოფას.

საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტს, რესპუბლიკის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს აგრარულ-სამრეწველო გაერთიანება „საქეთერზეთმრეწვს", აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონების (ქალაქების) აგროსამრეწველო გაერთიანებებს დაევალათ ერთი წლის ვადაში განსაზღვრონ და დაუგზავნონ ყოველ მეურნეობას ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის წარმოება-დამზადების დამატებითი დავალებანი ისეთი მოცულობით, რომელიც უზრუნველყოფს მიმდინარე ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე დაკლებული პროდუქციის შევსებას.

საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის რესპუბლიკურმა საბჭომ კატეგორიულად მოსთხოვა რაიონული (აგროსამრეწველო) გაერთიანებების თავმჯდომარეებს არ დაუშვან, რომ არადანიშნულებისამებრ გამოიყენებოდეს რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა ცენტრალიზებული ფონდების სახსრები.

რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა სამინისტროსა და უწყების ყურადღება უნდა დაეთმოს იმ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, რომ გეგმის დამატებით გაადიდონ შრომის ნაყოფიერება აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა სფეროში სულ ცოტა ერთი პროცენტით და ასევე დამატებით შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება ნახევარი პროცენტით.

საქართველოს აგროსამრეწველო ...

დეპუტატობის კანდიდატები

ამხანაგების დიდი ნდობა

ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხნის ტრანსფორმატორების № 1 საამქროს მუშა ლეილა დიასამიძე მაღალნაყოფიერი შრომის მაგალითს გვიჩვენებს, ეწევა დიდ საზოგადოებრივ მუშაობას. საამქროს კომუნისტთა მეთაური, ქარხნის პარტბიუროს წევრი ლ. დიასამიძე ყოველთვის ერთ-ერთი პირველი ეხმაურება პატრიოტულ თაოსნობას საწარმოში. იგი ამავე დროს არ იშურებს ცოდნასა და ენერგიას, რათა დარაზმოს და თან გაიყოლოს საამქროს კომუნისტები, აამაღლოს მათი ავანგარდული როლი შრომის, სახელმწიფო და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებაში, გეგმა-ვალდებულებების გადაჭარბებით შესრულებისათვის გაშლილ ბრძოლაში.

ამხანაგებმა მოწინავე მუშას — ლეილა დიასამიძეს დიდი ნდობა გამოუცხადეს — იგი დასახელებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ ბათუმის № 407 ჯაფარიძის საარჩევნო ოლქში.

სურათზე; ლეილა დიასამიძე.

ნ. ანასტასიევის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კომისიის სხდომა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის მ. ს. გორბაჩოვის თავმჯდომარეობით გაიმართა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის კომისიის მორიგი სხდომა, რომელზეც მოისმინეს სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის მინისტრის ნ. ნ. ტარასოვის ანგარიში სკოლის რეფორმის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად დარგის მუშაობის შესახებ.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ რეფორმის განხორციელებაში განსაკუთრებული როლი ეკუთვნით დარგობრივ სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც აქვთ საჭირო შესაძლებლობანი, მატერიალური რესურსები, მოწყობილობა, ჰყავთ კადრები, რათა კარგ საფუძველზე წარმართონ მოსწავლეთა შრომითი სწავლება და აღზრდა.

სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ, რომელიც სკოლის რეფორმის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებებით ხელმძღვანელობს, გარკვეული მუშაობა გასწია, რათა საქვეუწყებო საწარმოები ჩაება მოსწავლეთა შრომითი სწავლების, აღზრდის, პროფესიული ორიენტაციის ორგანიზაციაში, შექმნა პირობები მათი მონაწილეობისათვის საზოგადოებრივად სასარგებლო მწარმოებელ შრომაში. დარგის საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების აბსოლუტური უმრავლესობა დამტკიცებულია როგორც საბაზო სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისათვის. მათი დახმარებით უკვე 1984 წელს დამატებით აღიჭურვა დაახლოებით 14 ათასი მოსწავლის სამუშაო ადგილი. სკოლის დასახმარებლად დარგის საქმიანობის შემდგომი პროგრამა ითვალისწინებს 2,5-3-ჯერ გაიზარდოს მოსწავლეთა სამუშაო ადგილების რაოდენობა სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატებში, სკოლებსა და წარმოებაში, აშენდეს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების 66 კომპლექსი 40 ათასი მოსწავლისათვის, განმტკიცდეს 130 სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მატერიალური ბაზა.

ამასთანავე კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო, მსუბუქი მრეწველობის მთელი რიგი რესპუბლიკური სამინისტროები ჯერ კიდევ სრულად არ ჩაბმულან ამ დიდმნიშვნელოვან მუშაობაში. ყველა დარგობრივი საკავშირო და რესპუბლიკური სამინისტრო და უწყება როდი მოეკიდა ჯეროვანი პასუხისმგებლობით სკოლის რეფორმის პრობლემებს. ზოგან დასჯერდნენ ღონისძიებათა გეგმებისა და ინსტრუქციების შედგენას, რომლებიც ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებს.

ბევრი საბჭოთა ორგანო და განათლების ორგანოები ურიგდებიან ზოზინს სკოლის რეფორმის განხორციელებაში, არ იჩენენ ჯეროვან ინიციატივას შრომითს კოლექტივებთან სასწავლებლების ხანგრძლივი საქმიანი ურთიერთობის დასამყარებლად.

სამინისტროებმა და უწყებებმა სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან და ადგილობრივ სახალხო განათლების ორგანოებთან ერთად უნდა მიაღწიონ იმას, რომ თითოეული შრომითი კოლექტივი აქტიურად მონაწილეობდეს უფროსკლასელთა შრომითი და პროფესიული სწავლების თანამედროვე ბაზის შექმნაში, უზრუნველყონ უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში მოსწავლეთა სრული ჩაბმა შესაძლებლობისდაგვარ საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებელ შრომაში.

ყველა ეს საკითხი ნიადაგ უნდა იყოს ადგილობრივი პარტიული ორგანოების, დარგობრივი სამინისტროებისა და უწყებების პარტიული კომიტეტების ყურადღების ცენტრში.

კომისიის სხდომაზე განიხილეს აგრეთვე საკითხი საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა კომპიუტერული წიგნიერების უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესში ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკის ფართო დანერგვის შესახებ.

აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესის კომპიუტერიზაციას დიდი მნიშვნელობა აქვს განათლების სრულყოფისათვის ყველა დონეზე, იგი მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ქმნის მეცნიერების საფუძვლების ღრმა შესწავლის, მოსწავლეთა შემეცნებითი აქტიურობის განვითარების, სწავლების მთელი პროცესის ინტენსიფიკაციისათვის, ამჟამად იწყება ინფორმატიკისა და ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკის საფუძვლების შესწავლა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, რათა გამოვუმუშაოთ მოსწავლეებს კომპიუტერებით სარგებლობის ჩვევები და შევაიარაღოთ ისინი სახალხო მეურნეობაში ამ ტექნიკის ფართო გამოყენების ცოდნით. ამასთან დაკავშირებით კომისიამ განიხილა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის განათლების სამინისტროს, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის წინადადებანი.

საკითხთა განხილვაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები მ. ვ. ზიმიანინი, ი. ვ. კაპიტონოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ი. მარჩუკი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ა. პ. ალექსანდროვი, ლენინგრადის საქალაქო აღმასკომის სახალხო განათლების მთავარი სამმართველოს უფროსი ს. ა. ალექსეევი, ჩერკასის ოლქის კორსუნ-შევჩენკოს რაიონის სახნოვსკის საშუალო სკოლის დირექტორი, სსრ კავშირის სახალხო მასწავლებელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. ა. ზახარენკო, სსრ კავშირის განათლების მინისტრი ს. გ. შჩერბაკოვი, მოსკოვის ოლქის ორეხოვოს ბამბეულის კომბინატის გენერალური დირექტორი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ბ. ა. მოლოდცოვი, რუსეთის სფსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ლ. კამაევი, აკადემიკოსი ა. პ. ერშოვი, სკკპ მოსკოვის ზელენოგრადის რაიკომის პირველი მდივანი ა. მ. ლაინოროვი, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ი. დ. მასლიუკოვი, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის მინისტრი ე. კ. პერვიშინი, აკადემიკოსი ა. ნ. ტიხონოვი.

დასასრულ სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა მ. ს. გორბაჩოვმა.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ჰ. ა. ალიევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ი. ვოროტნიკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. გრიშინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი პ. ნ. დემიჩევი.

მისალოცი დეპეშა

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მისალოცი დეპეშა გაუგზავნა ვიეტნამის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ვიეტნამის კომუნისტური პარტიის შექმნის 55 წლისთავთან დაკავშირებით.

პარტიული ცხოვრება: პრობლემები და განსჯა

პრაქტიკის გაკვეთილები

დიდი და რთული ამოცანები აქვთ გადასაწყვეტი აგროსამრეწველო კომპლექსის პარტიულ ორგანიზაციებს. სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის რეგიონალური რგოლების ჩამოყალიბებამ სოფლად პარტიული მუშაობისათვის ახალი სოციალურ-ეკონომიკური ვითარება შექმნა. საქმე ის არის, რომ აგროსამრეწველო გაერთიანებების ფორმირებამ პარტიული ორგანიზაციები ოპერატიული სამეურნეო საქმიანობის, ვიწრო უტილიტარული პრაქტიციზმისაგან გაათავისუფლა და შესაძლებლობა მისცა მთელი ძალ-ღონე მოახმარონ ისეთი პრობლემების გადაჭრას, როგორიც არის სოციალისტური თვითმმართველობის გაღრმავება-გაფართოება, საზოგადოებრივ საქმიანობაში მშრომელთა აქტიური ჩაბმა, შრომითი კოლექტივების როლის გაძლიერება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, სოციალისტური ცხოვრების წესის პრინციპების საყოველთაო დამკვიდრება და სხვ.

აგროსამრეწველო კომპლექსის რეგიონალური ორგანოების შექმნამ თავისთავად მოითხოვა იმის აუცილებლობა, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაციების სტრუქტურა უცილობლად შეესაბამებოდეს სამეურნეო მშენებლობის მართვის ტერიტორიულ პრინციპს.

სასურსათო პროგრამის განხორციელებაში გადამწყვეტი როლი სოფლებსა და დაბებს, აგროსამრეწველო კომპლექსის საყრდენ ტერიტორიულ რგოლებს ეკუთვნის, მაგრამ დღეისათვის ეს დასახლებული პუნქტები, როგორც ადმინისტრაციულ-სამეურნეო ერთეულები, პარტიული თვალსაზრისით დაქსაქსული არიან, რაც საგრძნობლად უშლის ხელს პარტიული ძალების კონცენტრაციას. გარდა ამისა ეს ფაქტორი პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს სოფლის სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაჭრისათვის მიზანმიმართული და შეთანხმებული მოქმედების საშუალებას არ აძლევს. ამის თაობაზე ითქვა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების მეორე რესპუბლიკურ კრებაზე.

ვფიქრობთ, ურიგო არ იქნებოდა, სოფლისა და დაბის ფარგლებში შექმნილიყო ერთიანი პარტიული ცენტრი, რომელიც შესაბამისი დასახლებული პუნქტის ყველა პირველადს პარტიულ ორგანიზაციას მოიცავდა.

სოფლებისა და დაბების ფარგლებში ერთიანი პარტიული ცენტრი პირველ ეტაპზე ალბათ მიზანშეწონილია შეიქმნას პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების ტერიტორიული საბჭოს სახით. სასურველია, ამ საბჭოებს უხელმძღვანელონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტკომთა მდივნებმა, ხოლო საბჭოების მუშაობის კოორდინაცია პარტიის სასოფლო რაიკომების სასოფლო-სამეურნეო განყოფილებებს უნდა დაეკისროს.

სოფლის პარტიული ორგანიზაციების წინაშე მდგომი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა სასურსათო პროგრამის ორგანიზაციულ-იდეოლოგიური უზრუნველყოფის მიზნობრივი კომპლექსური გეგმების შექმნაა. ეს გეგმები უნდა შეიცავდეს აგროსამრეწველო კომპლექსის კადრების მომზადებისა და შერჩევის აქტუალურ საკითხებსაც. ამ მხრივ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ ახლახან მიღებულ ერთობლივ დადგენილებას „აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემის ხელმძღვანელი კადრებისა და სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების შემდგომი სრულყოფის შესახებ“, რომელშიც აღნიშნულია, რომ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები ახერხებენ სოფლის მეურნეობისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა დარგების ხელმძღვანელი კადრებისა და სპეციალისტების კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლების ორგანიზაციას. მაგრამ ამ მიმართულებით მოქმედი სისტემა ჯერ კიდევ სრულად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებსა და ამოცანებს, რომლებიც თანამედროვე საკადრო პოლიტიკის საკითხებზე პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებებიდან გამომდინარეობს.

მიზანშეწონილად არის მიჩნეული შეიქმნას მოკავშირე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროების, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტისა და ესტონეთის სსრ აგროსამრეწველო გაერთიანების რესპუბლიკური აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის უმაღლესი სკოლები, განსაზღვრულია აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემის ხელმძღვანელი კადრებისა და სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლებელთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის ხელშემწყობი ღონისძიებები.

სოფლად პარტიული მუშაობის გაძლიერებას ხელს უწყობს სხვადასხვა უწყების პარტიული ორგანიზაციების საქმიანი ურთიერთკავშირი. ამ მხრივ საყურადღებოა საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის, პარტიული კომიტეტისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პარტბიუროს ერთობლივი სხდომების პრაქტიკა. ერთ-ერთ ასეთ სხდომაზე განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებების შესაბამისად სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებებიდან გამომდინარე სასკოლო საბჭოთა მეურნეობების შექმნის საკითხები. შემუშავდა ერთობლივი მუშაობის დებულება და დაისახა პრაქტიკული ღონისძიებანი.

საქსახკომსოფლწარმოების პარტიული კომიტეტისა და განათლების სამინისტროს პარტბიუროს ერთობლივი გადაწყვეტილებით გორის რაიონის ძევერის საბჭოთა მეურნეობის და საშუალო სკოლის ბაზაზე ჩამოყალიბდა ძევერის სკოლა-მეურნეობა, რომელშიც გაერთიანდნენ VIII-IX-X კლასების მოსწავლეები, ხოლო საგარეჯოს რაიონში ინტენსიურ შრომითს საქმიანობას შეუდგნენ მანავის პირველი და მეორე საშუალო სკოლების უფროსკლასელები, რომლებიც გაერთიანდნენ მანავის მევენახეობის სასკოლო საბჭოთა მეურნეობაში. სკოლა-მეურნეობების ადმინისტრაცია დაკომპლექტებულია თვით მოსწავლეებით. ჩამოყალიბებულია ბრიგადები და რგოლები. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას უთმობენ სკოლა-მეურნეობებში მოსწავლეთა თვითმმართველობის განვითარებას. სასკოლო საბჭოთა მეურნეობებმა შარშან პირველი შრომითი ნათლობაც მიიღეს. ასე, მაგალითად, მანავის სკოლა-მეურნეობამ მისთვის გამოყოფილ ნაკვეთებზე 148 ტონა ყურძენი დაკრიფა და 3293 მანეთი გამოიმუშავა.

ზემოაღნიშნულ საბჭოთა მეურნეობებში გამოცდილების განზოგადებისა და ფართო გავრცელების მიზნით მოეწყო საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტისა და განათლების სამინისტროს პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების მუდმივმოქმედი დარგობრივი სემინარების ერთობლივი გამსვლელი სხდომები, სადაც დაისახა ერთობლივი მუშაობის შემდგომი ამოცანები.

დღეს, როდესაც რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში მრავალფეროვანი, გაბედული ეკონომიკური ექსპერიმენტები ხორციელდება, სულ უფრო აუცილებელი ხდება კომუნისტთა ავანგარდული როლის გაძლიერება. ამ მიმართულებით ჯერ კიდევ მთლიანად არ გამოიყენება აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი გაერთიანებების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების და სხვა რგოლების პარტიული ორგანიზაციების შესაძლებლობანი. განსაკუთრებით საჭიროა სამეურნეო ხელმძღვანელობის, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ფუნქციათა უფრო მკაფიო გამიჯვნა, ამასთან მათი მჭიდრო თანამოქმედება. საქმე ის არის, რომ ძალების ერთგვარი დაზოგვით, უმცირესი დანახარჯებით უკეთესი და სტაბილური შედეგები მივიღოთ.

პარტიულ მუშაობაში ახალი ფორმების ძიება როდი ნიშნავს წარსულის დადებითი გამოცდილების უგულებელყოფას. იგი ჩვენი სიმდიდრეა, მას დღენიადაგ უნდა ვსწავლობდეთ და შემოქმედებითად ვიყენებდეთ. აღსანიშნავია, რომ არაფერი ახალი, მათ შორის პარტიულ მუშაობაში, ცარიელ ნიადაგზე არ წარმოიქმნება. იგი გამომდინარეობს და ვითარდება როგორც ძველის ბუნებრივი გაგრძელება, არა როგორც მისი უბრალო განმეორება, არამედ ცვლავწარმოქმნა ახალ პირობებში შეცვლილი ვითარების გათვალისწინებით. მხოლოდ წარსულის გამოცდილების მყარ საფუძველზე შეიძლება განვითარდეს და იშვას ახალი ცხოვრებისეული ფორმები და მეთოდები, რომლებიც ხელს შეუწყობს პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის გაძლიერებას, უზრუნველყოფს შინაპარტიული დემოკრატიის პრინციპების გაღრმავებას. ამიტომ წარსულის მთელი სიმდიდრის შემოქმედებითი გამოყენება დღევანდელ პირობებში ამ ფორმებისა და მეთოდების მრავალფეროვნების საწინდარია.

გ. მუჩაიძე,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერული კომუნიზმის სექტორის გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ე. ბარათაშვილი,
საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

გონივრულად გამოვიყენოთ შრომითი რესურსები

მატერიალური წარმოებისა და არაწარმოებითი სფეროს თანაფარდობის სრულყოფა დროის მოთხოვნაა

სოციალისტური ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე კომუნისტური პარტიის სტრატეგიული კურსის განხორციელებაში მატერიალურ წარმოებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი არაწარმოებით სფეროს განეკუთვნება. არაწარმოებითი სფეროს მზარდი როლი ნაკარნახევია როგორც საწარმოო ძალების განვითარების ობიექტური აუცილებლობით, ისე სოციალისტური წარმოების მიზნითა და განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მოთხოვნათა სისტემით. ამიტომ არაწარმოებითი სფეროს განვითარების კანონზომიერებათა შესწავლას როგორც კავშირის, ისე რესპუბლიკის ასპექტით დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

არაწარმოებითი სფეროს განვითარების საფუძველი მატერიალურ წარმოებაში შრომის ნაყოფიერების გადიდება და მისი ზრდის ტემპია. რაც უფრო მაღალია შრომის ნაყოფიერება, მით უფრო მეტი მატერიალური და შრომითი რესურსების გამოთავისუფლებაა შესაძლებელი არაწარმოებითი სფეროს დარგთა განვითარებისათვის.

მაგრამ არაწარმოებითი სფეროს ზოგიერთ დარგში დასაქმებულთა ხვედრითი წილის ზრდას ყოველთვის არ გააჩნია ფუნქციური დამოკიდებულება შრომის ნაყოფიერების გადიდებასთან. ეკონომიკის სფეროში ეს გამონაკლისი, სამწუხაროდ, ძალიან ხშირად, სუბიექტური ფაქტორების გამო, კანონზომიერად იქცევა, რომელსაც არცთუ იშვიათად ვოლუნტარიზმამდე მივყავართ. ამდენად, მატერიალურ წარმოებაში შრომის ნაყოფიერების გაუდიდებლად არაწარმოებითი სფეროს ზრდა, რაც უკანასკნელ პერიოდში მკვეთრად გამოხატულ ტენდენციას წარმოადგენს, უნდა მივიჩნიოთ ისეთ ნეგატიურ მოვლენად, რომელიც საკმაოდ ამუხრუჭებს სოციალისტური ეკონომიკის წინსვლას და, უპირველეს ყოვლისა, მშრომელი ადამიანის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. ეს პრობლემა მეტად აქტუალურ მნიშვნელობას იძენს საქართველოს სს რესპუბლიკაში. ჩვენი აზრით, მატერიალური წარმოების და არაწარმოებითი სფეროს ოპტიმალური თანაფარდობის დადგენა, სადღეისო ამოცანაა.

1960 წელს ჩვენი რესპუბლიკის მატერიალურ წარმოებაში დასაქმებულ ყოველ 1000 კაცზე მოდიოდა არაწარმოებით სფეროში დასაქმებული 218 კაცი (კავშირში 204), ხოლო 1982 წელს ამ მაჩვენებელმა მიაღწია 424-ს (კავშირში 360,5). თუ 1960 წელს ყოველ ათას სულ მოსახლეზე საქართველოს სსრ არაწარმოებით სფეროში დასაქმებული იყო 77,1 კაცი (კავშირში 74,8), 1982 წელს მან შეადგინა 150,3 (კავშირში 127,4). ჩვენს რესპუბლიკაში უფრო მაღალია არაწარმოებით სფეროში დასაქმებულთა ხვედრითი წილი, ვიდრე კავშირის მასშტაბით. 1982 წლისათვის ეს მაჩვენებელი 3,3 პუნქტით აღემატებოდა საკავშირო დონეს. სტატისტიკური მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ 1970 წლიდან საქართველოს არაწარმოებით სფეროში დასაქმების მატების ტემპი უფრო სწრაფია, ვიდრე საბჭოთა კავშირში: თუმცა თრივეგან შეიმჩნევა შემცირების ტენდენცია, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი შრომითი რესურსების მატების ტემპის შენელებაა.

ჩვენი რესპუბლიკა არაწარმოებით სფეროში დასაქმებულთა ხვედრითი წილის მიხედვით აღემატება არა მარტო საშუალო საკავშირო დონეს, არამედ პირველ ადგილზეა მოკავშირე რესპუბლიკებს შორისაც. ჩვენი აზრით, საქართველოს სსრ არაწარმოებით სფეროში დასაქმების ასეთი მაღალი დონე არ არის კანონზომიერი პროცესი, ყოველ შემთხვევაში არ შეესაბამება რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების დღევანდელ დონეს. მაგალითად, მეათე ხუთწლედში საქართველოში შრომითი რესურსები 201,3 ათასით გაიზარდა. აქედან მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებული იყო 88,9 ათასი, ესე იგი 44,2 პროცენტი, ხოლო არაწარმოებით სფეროში — 112,4 ათასი კაცი, ესე იგი, 55,8 პროცენტი. ამასთან საგულისხმოა, რომ ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობაში დასაქმებულთა ხვედრითი წილი ერთი მესამედით ნაკლებია, ვიდრე საშუალოდ კავშირში.

არაწარმოებით სფეროში დასაქმების მაღალი დონის ერთ-ერთ მიზეზად მიგვაჩნია დასაქმებულთა მეცნიერულად დაუსაბუთებელი ზრდა მის მთელ რიგ დარგებში. ეს ეხება უმეტესად დაკრედიტებისა და სახელმწიფო დაზღვევის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, კულტურისა და ადმინისტრაციულ-სამეურნეო სფეროებს, საუწყებო კვლევით ინსტიტუტებს, სხვადასხვა სამმართველო-შუალედურ რგოლს და ა. შ. დასაქმების ზრდა საერთოდ უნდა გამომდინარეობდეს ობიექტური პროცესებიდან და არა უშუალოდ სუბიექტური მოსაზრებებიდან. ჩვენი აზრით, სამეურნეო ანგარიშიანობის პრინციპი გარკვეული ფორმით არაწარმოებითი სფეროს მთელი რიგი დარგების მიმართაც უნდა გამოვიყენოთ. ამას მოითხოვს სამეურნეო მექანიზმის სრულყოფილად გამომდინარე სამეურნეო ანგარიშიანობის პრინციპების გაძლიერება. არაწარმოებითი სფეროს ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შექმნის ოპტიმალურ საზომს წარმოების ეფექტიანობის ზრდის პრინციპი უნდა წარმოადგენდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ხელს უშლის საზოგადოებრივ პროგრესს და ხელს უწყობს შექმნილი მატერიალური დოვლათის მფლანგველურ გამოყენებას.

არაწარმოებით სფეროში დასაქმებულთა რაოდენობის გადიდების ოპტიმალური ზომები არსებობს. საქმე ის არის, რომ არაწარმოებითი სფეროს ამა თუ იმ დარგში წარმოიშობა დასაქმებულთა სიჭარბე, რომელიც გამომდინარეობს არა ამ დარგის მოთხოვნებიდან, არამედ დაკავშირებულია მუშახელის არარაციონალურ გამოყენებასთან. ამასთან, ჩვენი რესპუბლიკის არაწარმოებით სფეროს მთელ რიგ დარგებში შრომის ტექნიკური შეიარაღების ზრდა ხასიათდება შედარებით ნაკლები ინტენსიურობით, ვიდრე მრეწველობაში და მათი განვითარება ხორციელდება უპირატესად მათში დასაქმებულთა რაოდენობის გადიდებით. შეუსაბამობაა არაწარმოებითი სფეროს მთელი რიგი დარგების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასა და მათში დასაქმებულთა შორის. მაგალითად, სუსტად არის განვითარებული ჯანმრთელობის დაცვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

1982 წელს საავადმყოფო საწოლების რიცხვი 10 ათას სულ მოსახლეზე შეადგენდა 107,5-ს, საბჭოთა კავშირში კი 127,1-ს, მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საქართველოს სს რესპუბლიკას ამ მაჩვენებლის მიხედვით მეთერთმეტე ადგილი ეკავა, მაშინ როდესაც ექიმთა რაოდენობის მხრივ იყო პირველ ადგილზე და საშუალო სამედიცინო პერსონალის მხრივ — მეოთხე ადგილზე. ამრიგად, შექმნილია გარკვეული დისპროპორცია სამედიცინო კადრების რაოდენობასა და მათი გამოყენების შესაძლებლობებს შორის, რომელიც უპირატესად დამახასიათებელია ქალაქებისათვის, ხოლო სოფლები სამედიცინო კადრების დეფიციტსაც კი განიცდიან. მაგალითად, 1979 წლის მონაცემებით, სოფლად დასაქმებული იყო რესპუბლიკის სამედიცინო მუშაკთა მხოლოდ 22,9 პროცენტი, ქალაქებში კი — 77,1 პროცენტი. ეს იმას ნიშნავს, რომ სოფლად ყოველ ათას სულ მოსახლეზე მოდიოდა 8 მედიცინის მუშაკი, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი ქალაქში 26-ს აღწევდა.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე არაწარმოებითი სფეროს კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა: მას არა მარტო ეკონომიკური, არამედ დიდი სოციალური მნიშვნელობაც აქვს. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის გაღრმავება, არაწარმოებით დარგებში ტექნიკური აღჭურვილობის ზრდა, გრანდიოზული გარდაქმნები საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა სტრუქტურაში, სულ უფრო მზარდი მოთხოვნა მომსახურების ხარისხისადმი არაწარმოებით სფეროში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა დასაქმების ზრდის ობიექტურ აუცილებლობას ქმნის. მიუხედავად ამისა, მთელ რიგ დარგებში მოთხოვნა კვალიფიციური კადრების მიმართ სრულად ვერ კმაყოფილდება. ამის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ ხშირად მატერიალური წარმოებიდან არაწარმოებით სფეროში კადრების გადანაწილება ისე ხდება, რომ სრულყოფილად არ ითვალისწინებენ არაწარმოებითი სფეროს იმ დარგების მოთხოვნას, რომლებიც მწვავედ განიცდიან სპეციალისტთა კადრების დეფიციტს. ამასთან, ჩვენი აზრით, არაწარმოებითი სფეროს კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის პრობლემა უნდა გადაწყდეს არა მატერიალური წარმოებიდან გამოთავისუფლებული მუშაკებით, არამედ თვით ამ სფეროში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებითა და გადამზადებით, ახალგაზრდობის პროფესიული მომზადებითა და არაწარმოებით სფეროში ჩაბმით, აგრეთვე მოსახლეობის დაუსაქმებელი უფროსი ასაკობრივი ჯგუფების (პენსიონერების) დასაქმებით და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ 1982 წელს პენსიონერთა მხოლოდ 35,8 პროცენტი იყო ჩაბმული საზოგადოებრივ წარმოებაში. ხანდაზმულთა შრომა შეიძლება ფართოდ გამოვიყენოთ საკრედიტო-საფინანსო და სადაზღვევო დაწესებულებებში, სადაც [illegible] წარმოების მნიშვნელოვანი კომპონენტია პროფესიული სიმწიფე, მზა ტანსაცმლით მოვაჭრე მაღაზიებში, საპარიკმახეროებსა და კოსმეტიკურ კაბინეტში, ფოტოატელიეებში, სასტუმროებში, ინდივიდუალური კერვის ატელიეებში, ნაწილობრივ სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებში და ა. შ.

ამასთან დაკავშირებით აუცილებლად მიგვაჩნია ფართოდ გამოვიყენოთ არასრული სამუშაო დღისა და არასრული სამუშაო კვირის რეჟიმი. ეს საშუალებას მოგვცემს ერთობლივ საზოგადოებრივ შრომაში და განსაკუთრებით არაწარმოებით სფეროში ფართოდ ჩავაბათ ახალგაზრდობა.

არასრული სამუშაო დღისა და არასრული სამუშაო კვირის ფართო დანერგვა მნიშვნელოვნად ზრდის ქალთა შრომითს აქტიურობას.

საგულისხმოა, რომ ჩვენს რესპუბლიკას მუშახელის მნიშვნელოვანი რეზერვები აქვს საოჯახო მეურნეობაში. მაგალითად, 1982 წლის მონაცემებით, საოჯახო მეურნეობაში დასაქმებული შრომისუნარიანი მოსახლეობა შრომისუნარიან ასაკში შეადგენდა 8,8 პროცენტს, ანუ 270 ათასს, ამასთან, აღნიშნულ სფეროდან დასაქმებულთა გამოთავისუფლება ხდება ძალიან ნელა. სახელდობრ, 1980-1982 წლებში საოჯახო მეურნეობაში დასაქმება შემცირდა 3,7 პუნქტით, ანუ 282,4 ათასიდან 275,4 ათასამდე. გაანგარიშებამ გვიჩვენა, რომ თუ 1970 წელს შრომისუნარიანი ასაკის 10 ქალზე მოდიოდა საზოგადოებრივ წარმოებაში დასაქმებული 7,3 ქალი, 1979 წელს — 8 ქალი. ამიტომ რესპუბლიკაში საოჯახო მეურნეობიდან დასაქმებულთა გამოთავისუფლება ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა.

გათხოვილი ქალები, რომლებსაც არ შეუძლიათ მთლიანად მოსწყდნენ საოჯახო მეურნეობას, სიამოვნებით იმუშავებენ რამდენიმე საათს დღეში ან კვირაში, ამასთან, სეზონურადაც. ქალთა შრომის გამოყენების ასეთ პირობებს იძლევა უპირატესად საცალო ვაჭრობა, საზოგადოებრივი კვება, საბინაო-კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურება.

როგორც ცნობილია, უკანასკნელი წლების განმავლობაში არახელსაყრელმა დემოგრაფიულმა სიტუაციამ მკვეთრად შეამცირა შრომისუნარიანი მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპი. ეს პროცესი, დემოგრაფების გაანგარიშებით, გაგრძელდება 2000 წლამდე, რაც დღის წესრიგში აყენებს შრომის ეფექტიანობის გადიდების საკითხს არა მარტო მატერიალურ წარმოებაში, არამედ არაწარმოებით სფეროშიც. 1971-1981 წლებში მრეწველობაში წარმოების მოცულობის მატების ყოველ პროცენტზე მომუშავეთა რიცხვი დაახლოებით 0,20 პროცენტით გაიზარდა, ხოლო არაწარმოებით სფეროში მომსახურების მოცულობის მატება ძირითადად დასაქმებულთა ზრდის ხარჯზე იქნა მიღწეული. შრომითი რესურსების დაძაბული ბალანსი კი მოითხოვს ინტენსიური განვითარების ფაქტორების საფუძველზე მომსახურების მოცულობისა და ხარისხის ზრდას.

არაწარმოებით სფეროში შრომითი რესურსების დაუსაბუთებელმა გადიდებამ შეიძლება ვერ დააკმაყოფილოს მატერიალური წარმოების მოთხოვნილება მუშახელზე და ამით უარყოფითი გავლენა მოახდინოს მის განვითარებაზე. ეს, თავის მხრივ, ეროვნულ შემოსავალში დაგროვების ფონდის მოცულობის შემცირებას გამოიწვევს და, ცხადია, არაწარმოებით დაგროვებასაც, რასაც მოჰყვება არაწარმოებითი დარგების განვითარების ტემპის შენელებაც. ამასთან დაკავშირებით უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა ენიჭება მატერიალური წარმოებისა და არაწარმოებითი სფეროს ოპტიმალური თანაფარდობის განსაზღვრას.

საქართველოს სს რესპუბლიკა ერთ სულ მოსახლეზე საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობის მხრივ აღემატება საშუალო საკავშირო დონეს, თუმცა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის მეექვსე ადგილი უჭირავს. თუ შევუდარებთ ისეთ მოწინავე რესპუბლიკას, როგორიც ლატვიაა, იქ გაცილებით უფრო მაღალია აღნიშნული მაჩვენებელი. ამასთან, არაწარმოებითი სფეროს განვითარების მთელი რიგი მაჩვენებლებით, ლატვია წინ უსწრებს საქართველოს, ხოლო დასაქმება მის არაწარმოებით სფეროში 3,2 პუნქტით ნაკლებია, ვიდრე ჩვენს რესპუბლიკაში. ეს იმაზე მეტყველებს, რომ შედარებით მცირე დასაქმების პირობებში შეიძლება მიღწეულ იქნეს უფრო მაღალი შედეგები არაწარმოებითი სფეროს განვითარებაში.

სოციალისტური ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მატერიალური წარმოებისა და არაწარმოებითი სფეროს ოპტიმალური თანაფარდობის დადგენას დიდი როლი ენიჭება რეგიონალური ეკონომიკის დაგეგმვის სრულყოფაში, არაწარმოებით სფეროს განვითარების ეფექტიანი გზების განსაზღვრაში. ამრიგად, ეს მნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო პრობლემაა და, მაშასადამე, ეკონომიკური მეცნიერების აქტუალური ამოცანაც.

რ. ასათიანი,
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი.

არჩევნების შესახვედრად

დიდ მოსამზადებელ მუშაობას ეწევიან ამ დღეებში ცხინვალის აგიტკოლექტივები. ერთ-ერთ საუკეთესო აგიტკოლექტივს სათავეში უდგას პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილი ორგანიზატორი, სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ოსური ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, კომუნისტი გაცი პლიევი. ეს აგიტკოლექტივი მუშაობს ამომრჩეველთა კლუბში ავტონომიური ოლქის ცენტრის № 8 უბანში.

სურათებზე: ცხინვალის ერთ-ერთი საუკეთესო აგიტატორი, სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფრიადოსანი სტუდენტი ზალინა სიუკაევა; ამომრჩეველთა კლუბის აქტივისტები — უბნის საარჩევნო კომისიის მდივანი ემა გასიევა და აგიტატორები ანატოლი ალექსანდროვი და ფატიმა ცხოვრებოვა გამოსაშვებად ამზადებენ კედლის გაზეთს „ამომრჩევლის ხმას“.

ლ. გუსოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მშვიდობისათვის ზრუნვით

დევიზით „ხალხებისათვის უმაღლესი სიკეთე მშვიდობაა“ გამოვიდა ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური ილუსტრირებული ჟურნალის „სოვეტსკი სოიუზის“ თებერვლის ნომერი. იგი ეძღვნება გერმანიის ფაშიზმსა და იაპონიის მილიტარიზმზე დიადი გამარჯვების 40 წლისთავს.

ნომერი იხსნება კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს მიმართვით „სოვეტსკი სოიუზის“ მკითხველებისადმი.

ნომრის პუბლიკაციებში თანამიმდევრულად არის მოცემული მეორე მსოფლიო ომის ისტორიის ეტაპები, გაანალიზებულია მისი წარმოშობის მიზეზები. განსაკუთრებული ადგილი უკავია მასალებს, რომლებიც მოგვითხრობენ საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლაზე სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის, ამ ბრძოლაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მაორგანიზებელი და წარმმართველი როლის შესახებ. ნაჩვენებია დიდი წვლილი, რომელიც მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების მიღწევაში შეიტანეს ანტიფაშისტური კოალიციის მონაწილე სახელმწიფოთა ხალხებმა და არმიებმა.

ნომრის მასალებს წითელ ზოლად გასდევს აზრი: ომის წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ, სანამ იგი არ დაწყებულა, ჩვენი პლანეტის ხალხებს სჭირდებათ მტკიცე მშვიდობა ახლანდელი და მომავალი თაობების სიცოცხლისათვის. (საქდესი).

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

გამოვიჩინოთ მომჭირნეობა, ყაირათიანობა

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა შეისწავლა და თავის სხდომაზე იმსჯელა რესპუბლიკის ზოგიერთ საწარმოში სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გამოყენების მდგომარეობის შემოწმების შედეგებზე.

მასობრივი შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს ახალციხის საკონსერვო კომბინატში (დირექტორი — ხუციშვილი), საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ბორჯომის მინის ქარხანაში (დირექტორი— მაისურაძე), თბილისის კალინინის სახელობის სამსხმელო მოწყობილობის ქარხანაში (დირექტორი — გელაშვილი) და სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი მრეწველობის სამინისტროს რუსთავის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანაში (დირექტორი — კერესელიძე) ჯეროვანი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან პარტიისა და მთავრობის მრავალგზის მითითებებს ეკონომიისა და მომჭირნეობის რეჟიმის გამკაცრების შესახებ, უხეშად არღვევენ სალიმიტო დისციპლინას, ურიგდებიან უყაირათობასა და მფლანგველობას სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გამოყენებაში.

სახელმწიფო სალიმიტო დისციპლინას არღვევენ ახალციხის საკონსერვო კომბინატში. ფაქტობრივად კონტროლს აღარ უწევენ სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გამოყენების მდგომარეობას, რის გამოც არათუ არ იყენებენ ეკონომიისა და მომჭირნეობის რეჟიმის გამკაცრების არსებულ შესაძლებლობებსა და რეზერვებს, არამედ მათი გადახარჯვის ფაქტებსაც კი არ აღკვეთავენ. მარტო შარშან ქარხანაში გადახარჯულია 4,4 ათასი მანეთის 148 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, სტატისტიკურ ანგარიშში კი, მოჩვენებითი კეთილდღეობის სურათის შექმნის მიზნით, გადახარჯვის ნაცვლად ნაჩვენებია 1,5 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგიის ეკონომია. ქარხანაში 1984 წელს შესასრულებლად მიიღეს თბოენერგიის ხარჯვის დაუსაბუთებლად გაზრდილი ნორმები, რომლებიც 11,5 პროცენტით აღემატებოდა წინა წელს ფაქტობრივ ხვედრით ხარჯს.

კომბინატში დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში არ არის სამაზუთე მეურნეობა. მაზუთსაცავის ჭურჭლის საკალიბრო ცხრილების უქონლობის გამო არ ხდება მაზუთის ინვენტარიზაცია, მისი ჩამოწერის დროს კი ნორმებით კი არ ხელმძღვანელობენ, არამედ ფაქტობრივი ხარჯით.

სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ ელექტროენერგიის დაზოგვის მნიშვნელოვანი რეზერვების მიუხედავად კომბინატში წელსაც უხეშად ირღვევა სახელმწიფო სალიმიტო დისციპლინა. წლის დამდეგიდან ლიმიტის გადამეტებამ 4,4 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია შეადგინა, თუმცა წყლისტუმბიანი ნაკლებად მძლავრი ელექტროძრავების დაყენებით შეეძლოთ არ დაეშვათ ლიმიტის გადამეტება მიმდინარე წლის იანვარში.

უხეში დარღვევები გამოვლინდა ბორჯომის მინის ქარხანაში, სადაც ქარხნის ხელმძღვანელობა და უწინარესად მთავარი ინჟინერი ხარაზიშვილი, რომელიც პასუხს აგებს ენერგორესურსების მომჭირნე და რაციონალურად გამოყენებისათვის, ეკონომიის რეჟიმის გამკაცრების ნაცვლად 1984 წელს შეურიგდნენ 15 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგიისა და 188 ათასი მანეთის 3144,2 ტონა პირობითი სათბობის გადახარჯვას; სტატისტიკურ ანგარიშში კი ნაჩვენებია 9 ტონა პირობითი სათბობისა და 363,9 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგიის ეკონომია. ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმაში გათვალისწინებული ეკონომია 1984 წელს აშკარად ვერ უზრუნველყოფდა 62 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგიისა და 30 ტონა პირობითი სათბობის ეკონომიის ძირითად და დამატებითს დავალებებს, ქარხანაში კი ეკონომიის მნიშვნელოვანი გამოუყენებელი რეზერვები აქვთ.

მაგალითად, ვენტილატორების ელექტროძრავები ნაკლები სიმძლავრის მოწყობილობით რომ შეეცვალათ, ღუმელებისა და ჰაერსადინარების რეკონსტრუქცია რომ მოეხდინათ, მიმდინარე წლის იანვარში ეკონომიასაც კი მიიღებდნენ იმის ნაცვლად, რომ 19,5 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგიით გადაემეტებინათ ლიმიტისათვის.

თბილისის სამსხმელო მოწყობილობის ქარხანაში (მთავარი ინჟინერი—ჭელიძე) სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეკონომიის შემუშავებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი დაკონკრეტებული არ არის, ზოგადი ხასიათი აქვს და ვერ უზრუნველყოფს ამ რესურსების ეკონომიის დავალებათა შესრულებას.

შემოწმების დღეს ქარხანაში სათავსებს 107 კილოვატი საერთო სიმძლავრის ელექტროგამახურებელი ხელსაწყოებით ათბობდნენ, რამაც შეიძლება წელიწადში პირობითად დაგვაკარგვინოს 84,8 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, ანუ ნორმირებული წლიური ხარჯის 12,7 პროცენტი.

გაზისა და თბოენერგიის გამოყენებაში არსებითი ნაკლოვანებანი გამოვლინდა რუსთავის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანაში, სადაც მთავარი ინჟინრის კომლაძის მხრივ უკონტროლობის გამო შემოწმების დღეს არ მუშაობდა თბოენერგიის გამომუშავების აღმრიცხველი ხელსაწყო, არ იყენებდნენ გაზანალიზატორებს, სამუშაო მდგომარეობაში არ იყო სარეზერვო-სათბობი მეურნეობა, მთლიანად არ ბრუნდებოდა კონდენსატი, სითბოს მნიშვნელოვანი დანაკარგები ჰქონდათ 700 მეტრი სიგრძის ცხელი მილსადენების იზოლაციის გაფუჭების გამო, რომლის შეკეთებით ქარხანას შეუძლია დაზოგოს 0,335 მილიონი კუბური მეტრი გაზი, ანუ წლიური მოხმარების სამი პროცენტი.

საწარმოთა მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებები და ხარვეზები, უწინარეს ყოვლისა, იმის შედეგია, რომ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს, კვების მრეწველობის სამინისტროს და შემოწმებულ საწარმოთა ხელმძღვანელობა სჯერდება ზოგიერთ დადებითს საგეგმო მაჩვენებლებს და საჭირო კონტროლს არ უწევს სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გამოყენებას, შეურიგდა დარღვევებს, ჯეროვან მომთხოვნელობას არ იჩენს შესაბამისი სამსახურების მიმართ ეკონომიისა და მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების მთელი რეზერვებისა და შესაძლებლობების გამოყენების საქმეში.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის და ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროთა ყურადღება უნდა მიეპყროს იმის საჭიროებას, რომ გაუძლიერონ კონტროლი დაქვემდებარებულ საწარმოებში ენერგო-რესურსების მოხმარების ნორმირების მდგომარეობას და გაამკაცრონ ეკონომიისა და მომჭირნეობის რეჟიმი.

იმისათვის, რომ კონტროლს არ უწევდა, ირღვეოდა სალიმიტო დისციპლინა, დაშვებულ იქნა ელექტროენერგიის გადახარჯვა და დაამახინჯეს ანგარიშგება, ახალციხის საკონსერვო კომბინატის დირექტორს ზ. ხუციშვილს საყვედური გამოეცხადა და ელექტროენერგიის გადახარჯვის შედეგად სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ნაწილობრივ ანაზღაურების მიზნით მას დაეკისრა ორი თვის ხელფასის — 340 მანეთის გადახდა.

იმისათვის, რომ სერიოზული ნაკლოვანებანი იყო ენერგეტიკული სამსახურის ხელმძღვანელობაში, სათანადო ზომები არ განხორციელდა ენერგორესურსების ეკონომიის რეზერვების სრული გამოყენებისათვის, დაუშვა ანგარიშგებაში დამახინჯებანი და გადაიხარჯა ენერგორესურსები, ბორჯომის მინის ქარხნის მთავარ ინჟინერს ვ. ხარაზიშვილს და მთავარ ენერგეტიკოსს გ. კუმარისაშვილს საყვედური გამოეცხადათ და ენერგეტიკული რესურსების გადახარჯვით სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად დაეკისრათ ფულის გადახდა ორი თვის თანამდებობრივი განაკვეთის ოდენობით — 440 და 400 მანეთი.

ენერგორესურსების ხარჯვის საქმეში ნაკლოვანებებისათვის, მათი მნიშვნელოვანი არარაციონალური ხარჯვის დაშვებისათვის თბილისის კალინინის სახელობის სამსხმელო მოწყობილობის ქარხნის მთავარ ინჟინერს ბ. ჭელიძეს მიეთითა. იგი გააფრთხილეს, რომ, თუ არ განახორციელა ღონისძიებანი ენერგორესურსების ხარჯვის საქმეში ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, მას უფრო მკაცრ პასუხს მოსთხოვენ.

თბომეურნეობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობისა და თბოენერგიის მნიშვნელოვანი დანაკარგებისათვის რუსთავის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მთავარ ინჟინერს ვ. კომლაძეს მიეთითა. ისიც აგრეთვე გააფრთხილეს, რომ თუ არ განახორციელებს ღონისძიებებს შემოწმებისას გამოვლენილი ნაკლოვანებებისა და დარღვევების აღსაკვეთად, უფრო მკაცრად მოეკითხება პასუხი.

სახალხო კონტროლის რუსთავის საქალაქო, ახალციხის, ბორჯომისა და თბილისის ოქტომბრის რაიონულ კომიტეტებს დაევალათ განახორციელონ ღონისძიებანი სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების გასააქტიურებლად სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეკონომიური და მომჭირნე ხარჯვისათვის, ენერგიის დანაკარგების შემცირებისათვის, მისი ხარჯვის აღრიცხვის სრულყოფისათვის ბრძოლის გასაძლიერებლად, დიდი მომკითხველობის ვითარება შექმნან იმ პირებისადმი, რომლებმაც უყაირათობა და მფლანგველობა დაუშვეს.

ახალციხის საკონსერვო კომბინატის დირექტორს, ბორჯომის მინის ქარხნის, თბილისის კალინინის სახელობის სამსხმელო მოწყობილობის ქარხნის, რუსთავის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მთავარ ინჟინრებს ზ. ხუციშვილს, ვ. ხარაზიშვილს, ბ. ჭელიძეს და რ. კომლაძეს დაევალათ მშრომელთა კოლექტივების წინაშე გამოვიდნენ ინფორმაციით იმის შესახებ, თუ როგორია მოცემული შემოწმების შედეგები, და რა ღონისძიებებს ახორციელებენ გამოვლენილ ნაკლოვანებათა და დარღვევათა აღმოსაფხვრელად.

სახალხო კონტროლის რუსთავის საქალაქო, ახალციხის, ბორჯომისა და თბილისის ოქტომბრის რაიონულმა კომიტეტებმა პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით უნდა შეამოწმონ, თუ როგორ სრულდება ეს დადგენილება, და მოახსენონ კომიტეტს მიმდინარე წლის აპრილში.

მიფრინავს „კოსმოს-1627“

1985 წლის 1 თებერვალს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1627“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საქდესი).

შეხვედრები ელბაზე და კოსმოსში

„ვის სმენია გერმანულ ქალაქ ტორგაუს შესახებ, რომელიც ელბის ნაპირასაა გაშენებული? იშვიათად თუ ვინმე შეძლებდა ეპასუხა ამ კითხვაზე.

ახლა ეს ადგილი ისტორიული გახდა: 1945 წლის 25 აპრილს 13 საათსა და 30 წუთზე აქ, გერმანიის ცენტრში, ქალაქ ტორგაუს რაიონში უკრაინის პირველი ფრონტის 58-ე გვარდიული წითელი დროშის ორდენოსანი მსროლელი დივიზიის ნაწილები შეხვდნენ პირველი ამერიკული არმიის 69-ე ქვეითთა დივიზიის ნაწილებს". იმ დაუვიწყარ დღეებში გაზეთი „პრავდა" ასე აუწყებდა მკითხველებს.

ჯერ კიდევ დილით არაფიქსირებულად შეხვდნენ საბჭოთა და ამერიკელი მზვერავები ელბის დასავლეთ ნაპირზე. შემდეგ კი საბჭოთა გასაბერი ბორნით ელბის აღმოსავლეთ ნაპირას გადმოვიდა ამერიკელთა ჯგუფი. რაზმის მეთაურმა უფროსმა ლეიტენანტმა გრიგოლ სტეფანეს ძე გოლობოროდკომ ხელი ჩამოართვა ამერიკელი მზვერავების ჯგუფის მეთაურს ლეიტენანტ ლ. კოტცებუს.

საბჭოთა ჯარისკაცი წარმოშობით პოლტავის ოლქის კრემენჩუკის რაიონიდანაა, პროფესიით — ზეინკალ-მექანიკოსი. ომში 1941 წელს წავიდა. ბაკ. ლ. კოტცებუ წარმოშობით ტეხასის შტატის ქალაქ იუსტენიდანაა. არმიაში მობილიზებამდე იგი უნივერსიტეტში სწავლობდა. ლეიტენანტი კოტცებუ მოქმედ არმიაში 1945 წლის 12 თებერვლიდან მოხვდა.

ნავიდან, რომელიც ჩვენს ნაპირს მოადგა, გადმოვიდა ამერიკული დივიზიის მეთაური შტაბის ოფიცერთა დიდი ჯგუფის თანხლებით. იგი იქით გაემართა, სადაც ჩვენი შტაბი იყო მოთავსებული. ამერიკის არმიის წარმომადგენელთა ჯგუფის წინ მედროშეებს მოჰქონდათ სამი მოკავშირე სახელმწიფოს ალმები. ამერიკელებთან შესახვედრად მდინარისაკენ გამოემართა საბჭოთა დივიზიის მეთაური.

მოხდა ორი არმიის წარმომადგენელთა შეხვედრა. საბჭოთა არმიის გენერალ-მაიორი დივიზიის მეთაური ვ. ვ. რუსაკოვი 35 წლისა იყო. ომის დაწყებისას მაიორის წოდება ჰქონდა. ამერიკის არმიის გენერალ-მაიორი, დივიზიის მეთაური ე. რეინხარდტი 56 წლისა იყო. იგი 38 წლის განმავლობაში მსახურობდა ამერიკის შეერთებული შტატების ჯარებში.

გენერლებისა და მათი თანმხლები ოფიცრების შეხვედრამ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. მიღებაზე რეინხარდტმა საბჭოთა დივიზიის მეთაურს გადასცა ამერიკის ეროვნული ალამი და წარმოსთქვა წითელი არმიის ხელმძღვანელის, საბჭოთა კავშირის მარშლის სტალინის სადღეგრძელო.

რამდენიმე დღეც, და ადამიანები იტყვიან: მორჩა, დამთავრდა ომი!

ელბა!

ამ სიტყვას ომის შემდეგ მაშინვე მრავალი იმედი დაუკავშირდა. სამართლიანად აღნიშნავენ: ევროპაში და სხვა კონტინენტებზე მილიონობით ადამიანები იმედოვნებდნენ, რომ ელბაზე ხელის ჩამორთმევა ევროპის ცენტრში მშვიდობის განმტკიცებაში თანამშრომლობის, გერმანიის ცხოვრების დემოკრატიულ და მშვიდობიან საფუძველზე გარდაქმნის, გერმანიაში ფაშიზმისა და მილიტარიზმის ნაშთების აღმოფხვრის სიმბოლო გახდებოდა. ამ იმედებს აღმოსავლეთ გერმანიაში ეწერა განხორციელება.

სამწუხაროდ, ელბაზე შეხვედრის შემდეგ მალე დაიწყო „ცივი ომი".

კიდევ ერთი ფაქტი. ამერიკელმა ჯარისკაცმა ჯოზეფ პოლოვსკიმ, ტორგაუში სხვებთან ერთად ხელი ჩამოართვა საბჭოთა ჯარისკაცებს. — 1955 წელს ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციონერთა მიერ „ცივი ომის" გაჩაღებისას იგი მოსკოვში ჩამოსულ ომის ვეტერანთა ამერიკელ დელეგაციას მეთაურობდა. საბჭოთა და ამერიკელ ვეტერანთა მიერ მიღებულ მაშინდელ დეკლარაციაში ნათქვამია: „ჩვენი ჯარების ელბაზე შეხვედრა კაცობრიობის ისტორიაში ჩვენს ხალხებს შორის მეგობრობის, კეთილი ნების და ურთიერთისადმი პატივისცემის სიმბოლოდ დარჩება".

როგორც იგონებენ, გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე ამ ჯარისკაცმა სურვილი გამოთქვა ელბაზე შეხვედრის მემორიალის მახლობლად დაემარხათ და მისი საფლავის ქვაზე წაეწერათ: „ჯოზეფ პოლოვსკი — მეორე მსოფლიო ომისა და 1945 წლის 25 აპრილს ელბაზე საბჭოთა და ამერიკელთა ფიცის მონაწილე". მანვე ისურვა საფლავის ქვაზე ორი ხელის მაგრად ჩამორთმევაც გამოესახათ.

ძველი ჯარისკაცის, ჩიკაგოელი მძღოლის ანდერძი შესრულეს. 1983 წლის 26 ნოემბერს ტორგაუსთან, მემორიალის მახლობლად, რომელზედაც ამოტვიფრულია სიტყვები: „დიდება ძლევამოსილ საბჭოთა არმიის და ჩვენი მოკავშირეების მამაც ჯარებს, რომლებმაც გამარჯვება მოიპოვეს ფაშისტურ გერმანიაზე" გაიმართა პოლოვსკის დაკრძალვის ცერემონია.

ჩიკაგოს მერი ცერემონიის მონაწილეებს თავის მიმართვაში სწერდა: — „მთელი ენერგია უნდა მივმართოთ მშვიდობისათვის საბრძოლველად ამერიკელებისა და რუსების გაერთიანებისათვის. მშვიდობა — ეს მთელი კაცობრიობის ოცნებაა". სამგლოვიარო ცერემონიალზე სიტყვით გამოსულმა, ელბაზე შეხვედრის ერთ-ერთმა მონაწილემ, გადამდგარმა გენერალ-მაიორმა ა. გორლინსკიმ თქვა: — „ელბაზე დადებული ფიცი საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების და სხვა ქვეყნების ვეტერანებისათვის წმინდათაწმინდა გახდა და სადაც უნდა შევხვდეთ ერთმანეთს, ოკეანის ორივე მხარეს, ჩვენ ყოველთვის ვეკითხებით ერთმანეთს: „გახსოვს ფიცი?" პასუხად ჟღერს: „მახსოვს. და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ მშვიდობა იყოს".

ხალხებს ახსოვთ მეგობრული, ვაჟკაცური ხელის ჩამორთმევა, როცა საბჭოთა და ამერიკელი ჯარისკაცები ელბაზე ერთმანეთს შეხვდნენ, როგორც გამარჯვებულნი. ო, რა დიდხანს ელოდნენ ადამიანები ამ ხელის ჩამორთმევას, ამ სასიხარულო წუთებს!

ჩვენმა სამშობლომ და ჩვენმა ხალხმა მძიმე წლები გადაიტანა. ამ დიდ ომში ჩვენი სამშობლოს ბედი, ყოველი ჩვენგანის ბედი წყდებოდა. და ეს ომი საყოველთაო-სახალხო, სამამულო ომად იქცა. და აი, მტერი დამარცხებული და დამხობილია. ზეიმობდნენ საბჭოთა ადამიანები. და გასაზომელია იმათი დაკარგვით გამოწვეული ტკივილი, ვინც ვერ

მოესწრო ამ დღეს. და მთელი არსებით ადამიანმა შეიგრძნო, როგორ ძლიერ უყვარს სიცოცხლე და როგორ სძულს ომი.

ცოტა ხნის წინათ ბიჭები გაუშენებელ ველზე ომობანას თამაშობდნენ. ჩვეულებრივად, იმათ, ვინც „თავს იცავდა", თითქმის ფრონტულად სრული პროფილის მქონე სანგარი გათხარეს.

და მოულოდნელად მუზარადი ამოაჩინეს. კონფიგურაციით იგი წითელი არმიელის იყო.

ჩვეულებრივი მუზარადი დროთა მსვლელობის გამო გამუქებულიყო, ჟანგი მოჰკიდებოდა. დაიწყეს მიწებმული თიხის ნამცეცებისაგან მისი გასუფთავება. ამ დროს მიწა ერთ ადგილას შიგნით ჩაინგრა.

მუზარადის კეფა ტყვიას გამოჰოლად გაუხვრეტია.

ბიჭები ფიქრებმა შეიპყრო:— აი იგი, ომი! შეუბრალებელი, არავის არ ინდობს. რა მოუვიდა ჯარისკაცს? მოკლეს მაშინ? მოგვიანებით დაიღუპა? ხომ შეიძლება, რომ მაინც გადარჩენილიყო. ბიჭებს როგორ უნდოდათ ჯარისკაცის გადარჩენა... ვინ იყო იგი, უცნობი გმირი?! და წითელარმიელის მუზარადი მუზეუმის დარბაზში ძევს: ყოველი დაკვირვებული დამთვალიერებელი მას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. ეს ექსპონატი ერთ-ერთ მუზეუმში ბიჭებმა მოიტანეს.

ამხანაგი ედუარდ შევარდნაძე ერთ-ერთ გამოსვლაში ამბობდა: „დიახ, ჩვენს რესპუბლიკაში ფრონტის ხაზი არ იყო, მაგრამ მისი ქალაქებიდან და სოფლებიდან ომში წავიდა 600 ათასზე მეტი მეომარი — საქართველოს მაშინდელი მოსახლეობის მეხუთედი. დიახ, ჩვენს რესპუბლიკაში ფრონტის ხაზი არ იყო, მაგრამ ომში წასულთაგან ყოველი მესამე ბრძოლის ველზე დაიღუპა...

გმირთა ხსოვნა დამკვიდრებულია თითოეულ სახლში, თითოეულ ოჯახში. დღესაც საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, ნახავთ ძაძებით მოსილ ქალებს, რომლებიც დაღუპულ მამებს, ქმრებს და ვაჟიშვილებს გლოვობენ. მათი მწუხარება მთელი ხალხის მწუხარებაა"..

ხალხებს ახსოვთ საბჭოთა და ამერიკელი კოსმონავტების მეგობრული, ვაჟკაცური ხელის ჩამორთმევა კოსმოსური ხომალდებით საბჭოური „სოიუზის" და ამერიკული „აპოლონის" ერთობლივ ფრენაში მონაწილეობისას. ეს იყო 1975 წლის 15-21 ივლისს.

მშვიდობის ლენინური საერთაშორისო პრემიის ლაურეატმა ჯეიმს ოლდრიჯმა, რომელიც ტელევიზორით თვალს ადევნებდა ამ ისტორიულ ფრენას, აღტაცებით თქვა: „შთაბეჭდილება? დარწმუნებული ვარ — ასეთი რამ დავიწყებას არ მიეცემა. ჩემთვის დიდი გამარჯვების 30 წლისთავზე „კოსმოსში ხელის ჩამორთმევა" — ეს საბრძოლო მოკავშირული მეგობრობის ესტაფეტაა, ელბაზე ხელის ჩამორთმევის კოსმოსური ექოა".

დიახ, ეს, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში ამბობდნენ, მეორე შეხვედრაა ელბაზე. ო, როგორ დიდხანს ელოდნენ ადამიანები ამ ხელის ჩამორთმევას, ამ სასიხარულო ამაღლებელ წუთებს!

ახალგაზრდა ამერიკელმა კოსმონავტმა ჯ. ლუსმა ჟურნალისტთა წინაშე გამოსვლისას თქვა: „ჩვენ შეგვიძლია არა მხოლოდ ხომალდები, არამედ ჩვენი ქვეყნებიც, ჩვენი დიდი ხალხებიც შევაპირაპიროთ და დედამიწაზე მშვიდობის დასაცავად ვიმუშაოთ".

მთელი მსოფლიო აღტაცებული იყო ალექსი ლეონოვის, ვალერი კუბასოვის, ტომას სტაფფორდის, ვენს ბრანდის, დონალდ სლეიტონის სიმამაცით, რომლებმაც კოსმონავტიკის მატიანეში ახალი სასახელო ფურცელი ჩაწერეს.

საინტერესო დეტალი: — შეგიძლიათ თქვენ გააკეთოთ რაიმე ჩანახატი, რომელიც თუნდაც სიმბოლურად ასახავდეს თქვენი „სოიუზ 19"-ის და „აპოლონის" კოსმოსში შეპირაპირებულ ერთობლივი ფრენის მნიშვნელობას? — ჰკითხეს ჟურნალისტებმა ლეონოვს „სოიუზ-19"-ის და „აპოლონის" ეკიპაჟებთან გამართულ პრესკონფერენციაზე. კითხვა შემთხვევით როდი იყო დასმული. ლეონოვი ხომ ნიჭიერი მხატვარიცაა.

— სწრაფად დახატვა რთულია, მაგრამ შეიძლება გამოხატო, — ამბობს ლეონოვი — შეხედეთ! და ტელევიზორით ნაჩვენები იყო ლამაზად შესრულებული ორი პლაკატი, რომელიც წალებული ჰქონდათ კოსმონავტებს. საბჭოთა კოსმონავტს უჭირავს პლაკატი — საბჭოეთის სახელმწიფო ალამი, ამერიკელს კი — ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ალამი.

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში ექსპონირებულია სურათები — „სოიუზის" და „აპოლონის" ხომალდების შეპირაპირება" და „სოიუზ-19 მიდის კოსმოსში". ისინი სპეციალურად ჩვენი მუზეუმისათვის დახატა ალექსი ლეონოვმა.

სამწუხაროდ, კოსმოსში საბჭოთა და ამერიკელი კოსმონავტების შეხვედრის შემდეგ კვლავ დაიწყო „ცივი ომი".

რაც უნდა დიდხანს გაგრძელდეს იგი, ხალხები მაინც დარწმუნებული არიან, რომ არიან, რომ ცხრა მთას იქით როდია ის დღეები, როცა ცაში სხვადასხვა სოციალური წყობის მქონე ქვეყნების ადამიანები კვლავ ჩამოართმევენ ხელს ერთმანეთს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში რამდენიმეჯერ ყოფნისას ბევრი ნეოფაშისტი ვნახე, შევხვდი ადამიანებს, რომლებსაც ჰიტლერული ნიმუშის ტანსაცმელი აცვიათ, ტყავის ქურთუკზე, სს-ის ჰიტლერული დივიზიის ნიშანი და მახვილი აქვთ ამოტვიფრებული, ნაცისტურ ნიშნებს და ემბლემებს ატარებენ. ვნახე ფაშიზმის შესახებ დიდი ტირაჟით გამოცემული ფირფიტები და წიგნები. შეიძლება ისეთ ახალგაზრდასაც შეხვდე, რომელმაც მეტსახელად „ჰიტლერი" აირჩია.

გვჯერა მომავალში მეგობრული ხელის ჩამორთმევისა, რადგან ამერიკის შეერთებულ შტატებში იყვნენ და არიან სხვა ათასობით ადამიანებიც. იქ ჩვენ ძლიერ ბევრი ნამდვილი მეგობარი გვყავს. ადამიანები კეთილგანწყობილების მქონენი და სტუმართმოყვარენი, უბრალონი, რომლებსაც სურთ გვემეგობრონ, სურთ მშვიდობა, სჭირდებათ მშვიდობა. მშვიდობა დღეს, მშვიდობა ხვალ, მშვიდობა ყოველთვის. როცა ადამიანები გაიგებდნენ, რომ ჩვენ საბჭოთა კავშირიდან ვართ, ისინი მოიხედავდნენ ხოლმე, ზოგიერთები მოდიოდნენ ჩვენთან, მოგვესალმებოდნენ, ღიმილით ცერს ზემოთ აღმართავდნენ: თითქოს გვეკითხებოდნენ — როგორაა იქ კოსმოსში საქმეებიო. ყველაფერი უსიტყვოდ იყო გასაგები. ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია, რომელსაც უხვად აძლევენ სუბსიდიებს სახელმწიფო ორგანოები და მონოპოლიები ცდილობს წარსულის დარღვევას, განსაკუთრებით ასიათასობით ისეთი ადამიანების მოტყუებას, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიბადნენ.

არსებობს უვიცობის ფაქტები. ისინი მოიტანა ამერიკულმა გაზეთმა „ბალტიმორ სანმა". მან გამოაქვეყნა ქვეყნის ერთ-ერთი უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგები. სტუდენტები, აღნიშნავს გაზეთი, თითქოს მთვარიდან ჩამოცვენილები იყვნენ, იმდენად ვერ ერკვევიან ისტორიის ელემენტარულ საკითხებში: გამოკითხულ სტუდენტთაგან ვერც ერთმა ვერ შეძლო ზუსტად დაესახელებინა მეორე მსოფლიო ომის წლები. ერთ სტუდენტს—მომავალ ჟურნალისტ ქალს, ასე წარმოუდგენია იმ ომის მოვლენები: „პირველად იაპონელებმა ამერიკაში ჩამოაგდეს ატომური ბომბი, შემდეგ კი ჩვენ ომი გამოვუცხადეთ მათ". ჩვეულებრივ ასეთ შემთხვევებში ამბობენ: კომენტარები ზედმეტიაო.

ადამიანებს ქვეყნად სხვადასხვაგვარი საქმეები აქვთ. მაგრამ ერთი უმთავრეს საქმეთაგანი, რომლითაც ყველა ცოცხლობს, ეს იმის მიღწევაა, რომ ომის საშინელებანი აღარ განმეორდეს, არასდროს აღარ განმეორდეს!

ფილიპე მახარაძე.

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მოლაპარაკება

1 თებერვალს მოლაპარაკებას განაგრძობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ. ხნოუპეკი.

აღინიშნა, რომ სსრ კავშირი და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა თანამიმდევრულად იღვწიან, რათა ევროპაში შემცირდეს სამხედრო კონფრონტაცია, გადაიქცეს იგი მშვიდობისა და ორმხრივ ხელსაყრელი თანამშრომლობის კონტინენტად, აღდგეს და განმტკიცდეს ნდობა სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა შორის.

ფაშიზმზე გამარჯვების მომავალ 40 წლისთავთან და გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთაგან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 40 წლისთავთან დაკავშირებით გამოითქვა რწმენა, რომ ამ თარიღების აღსანიშნავად მთელმა ხალხებმა და მთავრობებმა უნდა გააძლიერონ ერთობლივი მოქმედება საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნების, ბირთვული საფრთხის აღმოფხვრისათვის. მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სსრ კავშირი და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა კვლავაც განამტკიცებენ ორი სახელმწიფოს მძლავრ კავშირს, რომელიც სავსებით შეესაბამება მათი ხალხების ძირეულ ინტერესებს, გააღრმავებენ მეგობრობას და თანამშრომლობას სოციალიზმის სხვა ქვეყნებთან, ყოველ ღონისძიებას შეუწყობენ ხელს სოციალისტური თანამეგობრობის ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებას.

ა. ა. გრომიკოსა და ბ. ხნოუპეკის მოლაპარაკების შედეგების გამო მიღებულია ერთობლივი კომუნიკე, რომელიც პრესაში გამოქვეყნდება.

• • •

ამავე დღეს ა. ა. გრომიკომ ბ. ხნოუპეკის პატივსაცემად გამართა საუზმე, რომელზეც მხარეებმა მეგობრული სადღეგრძელოები წარმოთქვეს.

საუზმეზე, რომელმაც გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა, იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ქ. ვ. რუსაკოვი, სხვა ოფიციალური პირნი, აგრეთვე ბ. ხნოუპეკის თანხმლები პირნი. (საკდესი).

2 თებერვალს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ. ხნოუპეკი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ვიზიტად იმყოფებოდა საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

აეროპორტში სტუმარი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საკდესი).

შეხვედრა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

1 თებერვალს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. მ. სირაძემ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეთა დელეგაცია. დელეგაცია, რომელიც მონაწილეობდა ვენის დიალოგში, ჩვენს ქვეყანაში იმყოფება საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის მოწვევით.

ამხ. ვ. მ. სირაძემ გააცნო სტუმრებს საბჭოთა საქართველოს მიღწევები სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სტრუქტურა და საქმიანობა. მან ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობის მომხრეთა მოძრაობას გამწვავებულ საერთაშორისო ვითარებაში, თქვა, რომ ჟენევაში სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მიღწეული მორიგება მოლაპარაკების თაობაზე ქმნის კოსმოსში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილებისა და დედამიწაზე მისი შეწყვეტის შესახებ ნაყოფიერი დიალოგის რეალურ პირობებს. ამის რწმენას გვინერგავს კონსტრუქციული წინადადებები, რომლებითაც მიდის მოლაპარაკებაზე საბჭოთა კავშირი. ისინი ერთხელ კიდევ ზუსტად და ნათლად ჩამოაყალიბა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ქ. უ. ჩერნენკომ პასუხში ამერიკის სი-ენ-ენ ტელეკომპანიის კორესპონდენტის კითხვებზე.

ამერიკის დელეგაციის ხელმძღვანელმა, ბირთვული შეიარაღების გაყინვის მომხრეთა ეროვნული კამპანიის აღმასკომის წევრმა აისი ბერმა მადლობა გადაიხადა მიღებისათვის და გამოთქვა რწმენა, რომ საბჭოთა და ამერიკელ მშვიდობის მომხრეთა ახლანდელი შეხვედრები და საუბრები ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის ხალხთა ურთიერთგაგების გაუმჯობესებას.

საუბარში მონაწილეობდა საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. დ. ალექსიძე. (საქინფორმი).

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

2 თებერვალი ■ საკდესი იუწყება

კონსტრუქციული, მშვიდობისმოყვარული პოზიცია

საზღვარგარეთის პრესის ყურადღების ცენტრშია ამხანაგ ქ. უ. ჩერნენკოს პასუხი ამერიკის სი-ენ-ენის ტელეკომპანიის კორესპონდენტის ს. ლურის კითხვებზე. მაღალ შეფასებას აძლევენ რა საბჭოთა ხელმძღვანელის მიერ ჩამოყალიბებულ კონსტრუქციულ, მშვიდობისმოყვარულ პოზიციას, უცხოეთის ქვეყნების მთელი რიგი გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების საკითხებისადმი მიძღვნილი საბჭოთა კავშირ-ამერიკის ახალი მოლაპარაკების დადებითი შედეგი კეთილისმყოფელ გავლენას მოახდენდა ვითარებაზე მსოფლიოში, წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა თანამედროვეობის კარდინალურ პრობლემათა გადაჭრის გზაზე.

სათაურით „ქ. უ. ჩერნენკო კვლავ აფრთხილებს ამერიკის შეერთებულ შტატებს „კოსმოსური გეგმის გამო". ამერიკული გაზეთი **„ნიუ-იორკ ტაიმსი"** აქვეყნებს პასუხის დაწვრილებით შინაარსს. გაზეთი გამოყოფს საბჭოთა ხელმძღვანელის სიტყვებს იმის თაობაზე, რომ კოსმოსის მილიტარიზაცია გააბათილებდა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეზღუდვის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის უვადო ხელშეკრულებას, ისევე როგორც ამჟამად მოქმედ სხვა საერთაშორისო შეთანხმებებს, და რომ იგი შეიძლება გახდეს ყველა მიმართულებით უკონტროლო გამალებული შეიარაღების კატალიზატორი. ამჟამად შეუძლებელია ბირთვული შეიარაღების შეზღუდვა, მით უმეტეს შემცირება, თუ არ განხორციელდა ეფექტიანი ღონისძიებანი, რომლებიც არ დაუშვებდნენ კოსმოსის მილიტარიზაციას, აღნიშნავს გაზეთი.

ფრანგული **„ლუმანიტე"** წერს: „საბჭოთა ხელმძღვანელმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ახლანდელ პირობებში მომავალი საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების საგნისა და მიზნების შესახებ მიღწეული მორიგების დაცვას. მოსკოვმა ასევე გარკვევით განაცხადა, რომ ვაშინგტონის მიერ წამოყენებული „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის" კონცეფცია არსებითად აგრესიულია, რომელიც მიზნად ისახავს მეორე მხარის განიარაღებას, წაართვას მას საპასუხო დარტყმის მიყენების შესაძლებლობა მის წინააღმდეგ მიმართული ბირთვული აგრესიის შემთხვევაში".

ინდოეთის ყველა ცენტრალური გაზეთი თვალსაჩინო ადგილას აქვეყნებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, ქ. უ. ჩერნენკოს პასუხს. „საბჭოთა ხელმძღვანელმა მკაფიოდ თქვა, რომ ჟენევის მომავალი მოლაპარაკების სერიოზულად, მიზანმიმართულად წარმოების საფუძველი არის,—აღნიშნავს **პეტრიოტი**", — მოცემულია ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების პრობლემის გადაწყვეტის სწორი და არსებულ პირობებში ერთადერთი შესაძლებელი სქემა".

არ უარყოფს რა არსებულ სირთულეებს ჟენევის მომავალ მოლაპარაკებაზე, ამხანაგმა ქ. უ. ჩერნენკომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მათი გადალახვა შეიძლება, წერს უნგრული **„ნეპსაბადშაგი"**. საამისოდ საჭიროა, რომ ორივე მხარე იჩენდეს კეთილ ნებას, მზად იყოს გონივრული კომპრომისებისათვის და განუხრელად იცავდეს თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების პრინციპს.

პლანეტის ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი, დაასკვნის ბულგარული **„რაბოტნიჩესკო დელო"**, მხარს უჭერს ქ. უ. ჩერნენკოს მიერ გამოთქმულ აზრს, რომ ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების საკითხებისადმი მიძღვნილი საბჭოთა კავშირ-ამერიკის ახალი მოლაპარაკების დადებითი შედეგი კეთილისმყოფელ გავლენს მოახდენდა მსოფლიოს ვითარებაზე.

ამხანაგ ქ. უ. ჩერნენკოს პასუხი სი-ენ-ენის ტელეკომპანიის კორესპონდენტის კითხვებზე უცხოეთის პრესის ყურადღების ცენტრშია

შეწყდეს შეიარაღებული ჩარევა!

ავღანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პროტესტი ჩინეთს

ქაბული. ბახთარის სააგენტომ გაავრცელა ტექსტი ავღანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საპროტესტო ნოტისა, რომელიც გადაეცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დროებითს საქმეთა რწმუნებულს ქაბულში იმის გამო, რომ სულ უფრო ძლიერდება ჩინეთის ჩარევა ავღანეთის საქმეებში.

უკანასკნელი თვეების მანძილზე ქაბულის მიდამოებსა და პროვინციებში კონტრრევოლუციური ბანდების განადგურების დროს, ნათქვამია ნოტაში, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა და უშიშროების ორგანოებმა ხელთ იგდეს ჩინური წარმოების დიდძალი იარაღი, მათ შორის „დედამიწა-ჰაერის" რაკეტები. მათი გასაშვები დანადგარები, რეაქტიული ჭურვები, აგრეთვე ნაღმები. ავტომატები, მსხვილკალიბრიანი საზენიტო ტყვიამფრქვევები და სხვა იარაღი.

მრავალი ფაქტი მოწმობს, რომ ამ იარაღს იყენებენ მშვიდობიანი სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ, მათ შორის ქაბულის მცხოვრებთა წინააღმდეგ, რის შედეგადაც არის მსხვერპლი, ზარალი მოსდის ეკონომიკურ და კულტურულ ობიექტებს.

მოდის აგრეთვე ცნობები, რომ პაკისტანის ტერიტორიიდან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში გადაქვთ ავღანელ კონტრრევოლუციონერთა ბანაკები, რომლებშიც ჩინელი ინსტრუქტორები ბანდიტებს ასწავლიან იარაღის ხმარებასა და ტერორისტული მოქმედების მეთოდებს, ჩინელი მრჩევლები და ინსტრუქტორები არიან პაკისტანის ტერიტორიაზე მდებარე კონტრრევოლუციონერთა ბანაკებში.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ინფორმაციის საშუალებები უწევენ ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საწინააღმდეგო მასირებულ მტრულ პროპაგანდას, რომლის მიზანია ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკისა და მის გარშემო ვითარების ფალსიფიკაცია, აგრეთვე რევოლუციის მტრებთან ბრძოლაში ავღანელი ხალხისადმი საბჭოთა კავშირის ძმური ინტერნაციონალური დახმარებისათვის სახელის გატეხვა.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ ძლიერდება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის აშკარა ჩარევა სუვერენული და დამოუკიდებელი ავღანეთის საშინაო საქმეებში და რომ იგი აქტიურად მონაწილეობს გამოუცხადებელ ომში, რომელიც საერთაშორისო იმპერიალიზმისა და რეაქციის ძალებმა გააჩაღეს ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. არსებითად საქმე ეხება ამერიკის შეერთებულ შტატებთან, მის დასავლელ მოკავშირეებთან, პაკისტანთან და რეგიონალური რეაქციის ძალებთან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უშუალო თანამშრომლობას შეიარაღებული აგრესიის ესკალაციაში, რომელიც პაკისტანის ტერიტორიიდან ავღანეთის მიმართ ხორციელდება.

ჩინეთის ხელისუფალთა ამგვარი მოქმედება აშკარად ეწინააღმდეგება მათ ცდებს ამტკიცებდნენ, თითქოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა იღვწოდეს ავღანეთის ვითარების პოლიტიკური მოწესრიგებისათვის, ეს კი ძნელებს ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და მის მეზობლებს შორის არსებული პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტის გზების ძიებას. ეს მოქმედება აშფოთებს ავღანელ ხალხს, რომელიც გარედან შეიარაღებული ჩარევის მსხვერპლი ხდება.

უცხადებს რა ჩინეთის მხარეს მტკიცე პროტესტს მტრული მოქმედების გამო, ნათქვამია ნოტაში, საგარეო საქმეთა სამინისტრო მოითხოვს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ ბოლო მოუღოს შეიარაღებულ და სხვა ჩარევას ავღანეთის საშინაო საქმეებში, რომელიც ეწინააღმდეგება ყველა საერთაშორისო პრინციპსა და ორ ქვეყანას შორის არსებული დიპლომატიური ურთიერთობის ნორმებს.

— ინდოეთი

„ძირს ამერიკის იმპერიალიზმი!", „დასავლეთის მონოპოლიებს არაფერი ესაქმებათ ინდოეთის მიწა-წყალზე!", „შეწყდეს მომაკვდინებელი გაზების წარმოება!" — ასეთ ლოზუნგებს გაიძახოდნენ დელში გამართული მასობრივი დემონსტრაციის მონაწილენი (სურათზე). ისინი შეიკრიბნენ შენობასთან, სადაც განლაგებულია ამერიკის „იუნიონ კარბაიდის" კორპორაციის წარმომადგენლობა, რომლის დანაშაულებრივი გულგრილობის შედეგად ინდოეთის ქალაქ ბჰოპალის (მადჰია-პრადეშის შტატი) ქარხანაში მოხდა შხამიანი გაზის გაჟონვა. დემონსტრანტებმა მოითხოვეს ინდოეთში „იუნიონ კარბაიდის" ყველა ანაბრების კონფისკაცია და ავარიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის მაქსიმალური კომპენსაციის გადახდა.

ფოტოფაქტი

დასავლეთის მონოპოლიების წინააღმდეგ



საკდესის ფოტო.

გაიწვიეს საფრანგეთის ელჩი

პარიზი. როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, საფრანგეთის მთავრობამ გადაწყვიტა გაეწვია თავისი ელჩი ინდოეთში სერჟ ბუადვე. ფრანს პრესის სააგენტო აზუსტებს, რომ ინდოეთის მხარეს ეს გადაწყვეტილება აცნობეს. საფრანგეთში ინდოეთის ელჩის ნარენდრა სინგჰის და საფრანგეთის საგარეო ურთიერთობის მინისტრის როლან დიუმას 30 იანვარს გამართული შეხვედრის შემდეგ.

დელი. ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა აქ განაცხადა, რომ საფრანგეთმა აუწყა ინდოეთის მთავრობას თავისი გადაწყვეტილება გაიწვიოს თავისი დელელი ელჩი ს. ბუადვე.

როგორც გაზეთი „ჰინდუ" აღნიშნავს, ინდოეთის მთავრობის თხოვნით საფრანგეთის ელჩის გაწვევა არ ნიშნავს, რომ იგი რამენაირად იყოს დაკავშირებული ახლახან ინდოეთში მხილებულ ჯაშუშურ ქსელთან. მაგრამ როგორც საფრანგეთის საელჩოს მეთაურმა მან პასუხი უნდა აგოს იმისათვის, რასაც აკეთებდა, როგორც ჩანს, საფრანგეთის დაზვერვის მითითებით, ინდოეთში სამხედრო ატაშეს თანაშემწე პოდპოლკოვნიკი ალან ბოლე.

როგორც უკვე არაერთხელ აღუნიშნავს ინდოეთის პრესას, ა. ბოლე მიმდინარე წლის 20 იანვარს ღამით სასწრაფოდ გაფრინდა პარიზს ჯაშუშური ქსელის აღმოჩენის შესახებ პირველივე ცნობების შემდეგ. გაზეთი „ტაიმს ოფ ინდია" აღნიშნავდა, რომ ა. ბოლე არალეგალურად მოპოვებულ ინფორმაციას აწვდიდა მთელი რიგი სახელმწიფოების სადაზვერვო სამსახურებს, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს.

— პაკისტანი —

ხელს უშლიან დაბრუნებას

ქაბული. პაკისტანის ხელისუფალნი ხელს უშლიან სამშობლოში ავღანელ მოქალაქეთა დაბრუნებას, რომლებმაც დატოვეს იგი მტრული პროპაგანდის ზემოქმედებით. როგორც ბახთარის სააგენტო იუწყება, პაკისტანის პოლიციამ საზღვრის მახლობლად დააკავა იმ 300 ავღანელისაგან შემდგარი კოლონა, რომლებიც ცდილობდნენ დემოკრატიულ ავღანეთში დაბრუნებას. ისინი დააპატიმრეს და საპყრობილეში ჩასვეს.

ეს პირველი ამგვარი შემთხვევა როდია. ასობით ასეთი ჯგუფი, აღნიშნავს სააგენტო, პაკისტანის ხელისუფლებმა მილით დააკავეს. პაკისტანის საპყრობილეებში და მის ტერიტორიაზე ზია-ულ-ჰაკის რეჟიმის წაქეზებით დუშმანების მიერ შექმნილ საკონცენტრაციო ბანაკებში იტანჯებიან ისინი, ვინც შეიგნო აპრილის რევოლუციის სიმართლე.

ფაქტის კომენტარი

აიარაღებენ აგრესორს

ვაშინგტონი უსასყიდლო სამხედრო დახმარებას უზრდის ისრაელს

როგორც ჩვეულებრივ, ისრაელი აგრესორის სრული დაკმაყოფილებით დამთავრდა ვაშინგტონში ისრაელის თავდაცვის მინისტრის ი. რაბინის მორიგი ვიზიტი. ამერიკის დედაქალაქში ყოფნის სამი დღის მანძილზე თელ-ავივის ემისარი შეხვდა პრეზიდენტ რ. რეიგანს, სახელმწიფო მდივანს ჯ. შულცს, თავდაცვის მინისტრს კ. უაინბერგერს, შტაბების უფროსთა გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარეს ჯ. ვესის და სხვა ოფიციალურ პირებს.

მთელი ამ მოლაპარაკების შედეგად გამოაცხადეს, რომ შეერთებული შტატები 1986 საფინანსო წელს 400 მილიონი დოლარით გაუზრდის უსასყიდლო სამხედრო დახმარებას ისრაელს და 1,8 მილიარდ დოლარამდე გაადიდებს მას. ამერიკის სამხედრო დახმარების უმეტესი ნაწილი მოხმარდება თელ-ავივის მიერ შეერთებულ შტატებში შეტევითი შეიარაღებისა და სამხედრო აღჭურვილობის შეძენას. მიღწეული მორიგების თანახმად, თელ-ავივს ისრაელის უახლესი ავიაგამანადგურებლის —„ლავის" შემუშავებისათვის უნდა გამოუყონ 200 მილიონ დოლარზე მეტი და მისცენ შესაძლებლობა დაახლოებით 700 მილიონი დოლარი თანხის კონტრაქტები დაუდოს ამერიკის სამხედრო კორპორაციებს ამ თვითმფრინავის ცალკეული კვანძების შექმნისა და წარმოების თაობაზე. გარდა ამისა, ისრაელს იმედი აქვს, რომ არსებითად გაუდიდებენ ეკონომიკურ დახმარებასაც მისი ეკონომიკის გადარჩენის მიზნით, რომელიც დაქვეითების გზაზეა. მთლიანად მოსალოდნელია, რომ ისრაელისათვის მიცემული „დოტაციის" საერთო მოცულობა 1986 საფინანსო წელს რეკორდულ თანხას — თითქმის 4 მილიარდ დოლარს მიაღწევს.

ვაშინგტონში გამართული ამერიკა-ისრაელის მოლაპარაკების შედეგებმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არაბული ქვეყნების უბოროტესი მტერია, რომ სწორედ ვაშინგტონი უშლის ხელს მშვიდობიან მოწესრიგებას ახლო აღმოსავლეთში, რისთვისაც აიარაღებს ისედაც თავით ფეხებამდე შეიარაღებულ ისრაელს, აქეზებს მის ექსპანსიონისტურ და აგრესიულ მისწრაფებებს და იყენებს მას ამ რეგიონის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებთან გასწორების მიზნით.

როგორც ხაზგასმით აღნიშნავს ამერიკის პრესა, ისრაელის სამხედრო პოტენციალის ზრდის მიზანია „კვლავაც უზრუნველყოს მისთვის თვისებრივი სამხედრო „უპირატესობა" არაბეთის მეზობელ ქვეყნებთან შედარებით. ამერიკა-ისრაელის „სტრატეგიული თანამშრომლობის" აგრესიულობა კიდევ ერთხელ დადასტურდა იმან, რომ ვაშინგტონმა კვლავ უარყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით და ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით ახლო აღმოსავლეთის საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მოწყობის იდეა. რაბინის არ დაუმალავს, რომ ისრაელი აპირებს კვლავ ჰქონდეს სეპარატული მორიგების იმედი, რომელმაც უკვე მოიყვანა ჩიხში ახლო აღმოსავლეთში ვითარების მოწესრიგების პროცესი.

არაბული ქვეყნები გადაჭრით უარყოფენ აგრესორთან სეპარატულ მორიგებათა „კემპდევიდის" გზას და გმობენ ამერიკის შეერთებული შტატების ისრაელის ახალ აიარაღებულ კურსს.

ახალი ლექსები

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

ისევ სამშობლოს

კომკავშირელად ომში წასული
და კომუნისტად დაბრუნებული;
ვარ შენი მძიმე უღლის მსახური
კვლავ შენი ტრფობით
ალტაცებული.
ჰა, ჩემი ქედი —
მუდამ მართალი,
ზარივით გამძლე და
დაძარღვული!
...მე მომდგომია კარზე ზამთარი,
შენ მარადისი ხარ გაზაფხული!
გაზაფხულის შვილს რა
დამაბერებს...

● ●

აბოვიანში მიმასპინძლა საიათნოვამ

ბენიკ ხეირანიანმა —
ჭკვიანმა და ჯანიანმა
სომეხმა ძმამ, თბილისელმა,
არ მაფიქრა წამითაცა,
ხელი მტაცა,
დამატყვევა,
და სომხეთში გამიტაცა.
მზის ღიმილი ენთო თვალში,
თმაში — ნუშის ყვავილთ თოვა.
— ძმაო, წამო,
აბოვიანში
დაგვიბარა
საიათნოვამ!

ყვავილობენ ფშატის ხენი,
მზემ სევანი გადმოცურა,
მიწამ არარატის ხელით
ღრუბლის ცური ჩამოწურა.
წვიმის ყველა წვეთი ცხელი
გაღივდება,
რად მოვა —
აბოვიანში ჩამოსულა
თბილისელი საიათნოვა.

მზე პირს იბანს,
ცა ასფერი
ცისარტყელის ქამარს იბამს,
წვიმაც მღერის,
ხნივთა ჩქერიც,
ამ სიმღერით მე ვეტყვი ბანს.
ფართო შარა მოირკალა.
აგერ აბოვიანიცა!
ულამაზეს ჭაბუკ ქალაქს
დაჰქათქათებს მზიანი ცა.
იისფერად, ვარდისფერად,
მტრედისფერად მღერის ტუჩი,
მოუსმინე ამ სიმღერას,
გადაპხადე მაგ გულს ხუჭი.

...ველარ იცან ნაცნობი ცა
და ამ ველსაც გასცქერ რიდით,
შენი ჯარისკაცობისას
აქ სადღაც ხომ სანგარს
თხრიდი.
ზაფხულის მზით კანამწვარსა,
ღამის წელში გადამწყდარსა
აქ რამდენჯერ გინატრია
წამლად თუნდაც ჩალის
ჩრდილი,
აქ რამდენჯერ გაგივლია
ჩამოჭირხლულს დილის
თრთვილით...
ფერდში მოტყაპუნე ნიჩბით,

...

მე კი მიყვარს წინაპრებს...
მამული, თვალით ხინთლევე,
შენს გზებზე თუ ვერ ვილამბრე,
თუ კი რამ. ვერ გავამართლე,
შუალი შემოგხვევ — შემინდე!

ქობულეთის ფიჭვების ჩრდილში

რეპორტიორის შენიშვნები

ქობულეთის გრძელი მთავარი ქუჩა, ლენინის ქუჩა, თავის ჩრდილოეთ ნაწილში იქცევა გზატკეცილად და მიემართება ხევდიანი რიონისაკენ, სანავსადგუროდ, მაგრამ წყნარი ფოთისაკენ, კავკასიის შავი ზღვის სანაპიროს, ალბათ, ერთადერთი ქალაქისაკენ, რომელიც ჯერ დამსვენებლებს არ დაუპყრიათ. სწორედ ამ გზატკეცილთან ახლოს ქირაობდნენ ოთახებს ისინი, ვინც წინათ ყოველ წელს ჩამოდიოდა დასასვენებლად ქობულეთში. აქ სიწყნარე იყო, თანაც სახლიდან სულ ათიოდე ნაბიჯზე კი გელოდათ „სოკოზე ნადირობა". ზეთიანა სოკოს კი აქ თითქმის მთელი ზაფხულისა და შემოდგომის მანძილზე ნახავდით. ბევრს ვკრეფდით — ოღონდ მოგვესწრო— რელიქტის ფიჭვების ძირში, რომლებიც ზოლად გასდევს ნაპირს.

...

ვწვეოდი ადგილობრივ ჯანმრთელობის კერებს და შენაბა: მიუწვდათ თუ არა მათზე ხელი კურორტების მართვის ცენტრალურ საბჭოს, რესპუბლიკურ პროფკავშირულ ორგანიზაციებს? ქობულეთის ორი ჯანმრთელობის კერა — „ფიჭვნარი" და „ქობულეთი" დახურული აღმოჩნდა. მახსოვს, მათი ორსართულიანი, უფ-

...

დარებით, რაც წინათ მინახავს. ძველი შენობების ადგილზე აღმართულია ახალი კორპუსები ორსამადგილიანი ნომრებით. საშხაპეები, მოდური ავეჯი, ხალიჩის საფენები, ყვავილნარები. საითაც უნდა გაიხედო — ყოველ კუთხეს აჩნია ადამიანისათვის ზრუნვის კვალი. აქედან ჯერ არ წასულან მშენებლები, და, ალბათ, მა-

...

ლი უჭირთ და ადამიანებმა ერთი მტკაველი მიწის გამოყენებაც კი ისწავლეს. ერთხელ კიდევ დავრწმუნდი ამაში, როცა ჩავედით დასასვენებელ სახლ „მაგნოლიაში", რომელიც თითქოს ჰაერში ჰკიდია. აქ ნაგებობანი ერთმანეთთან არის მიყუჟული. ასე გგონია, ზედმეტი ხის დარგვაც კი შეუძლებელია. და უცებ...

...

ასადგილიანი საძილე კორპუსი, ...ზი ზღვის წყლით, ჩოგბურთის ...ედანი. მეწილე ამშენებელი იქ...ბა ენერგეტიკის სამინისტრო. ..., მთაგორიან პირობებში, ადგი-

...

დატვირთული პალატები, ძველი ავეჯი, ცუდი სანიტარულ-ჰიგიენური პირობები. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს აბათილებდა აქაურ სტუმართმოყვარეობასაც და სუბტროპიკების სიმშვენიერესაც.

ამას წინათ, როცა აჭარაში აღმოვჩნდი, გადავწყვიტე კვლავ

...

ახალ საფეხურზე ადის.

შემოვიარე ბათუმის მახლობლად მდებარე დასასვენებელი სახლის „ნარინჯის" თითქმის ყველა ოთახი. შემაღლებაზე, სადაც ჯანმრთელობის კერა დგას, ყველაფერი შეცვლილია იმასთან შე-

...

არჩევნებიდან არჩევნებამდე

მეთერთმეტე ხუთწლედისათვის მშენებლობა ყველაზე ნიშანდობლივი თვისებაა. მთელი ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყანა სამშენებლო მოედანს წააგავს.

არჩევნებიდან არჩევნებამდე ჩვენს რესპუბლიკაშიც უამრავი შენობა გაჩნდა. ბევრი მათგანი გამოირჩევა ცაბედული არქიტექტურული გადაწყვეტით.

ერთ-ერთმა ასეთმა თორმეტსართულიანმა საბჭოების ახალმა სახლმა დაამშვენა მზიური აფხაზეთის დედაქალაქი.

● ●



სურათზე: საბჭოების ახალი სახლი ქ. სოხუმში.

ბ. სოკოლოვის ფოტო.

სძლიე სიხარბესა შენსა

უცხოური მანქანების მანია

დღეს მსოფლიოში ავტობუმია. ქალაქები სავსეა ავტომობილებით, გზები აღარ ჰყოფნით, გამონაბოლქვი აირებით მიდამო ისეა გაჰუჰყიანებული, სუნთქვა ჰირს. ერთი სიტყვით, ავტომობილიზაციის პრობლემა ნომერ პირველია. ყოველივე ეს ჩვენი დროის მაინც დიდი სიკეთეა, რომელსაც უარყოფითი მხარეც ახლავს: იმატა ავტოავარიებმა, საგზაო შემთხვევებმა, სიკვდილიანობამ, ფათერაკმა და სხვამ.

ცხოვრების ტემპის დაჩქარებულ ზრდას ვერ შეაჩერებ, ბუნებრივია მატულობს მოთხოვნა ავტომანქანებზე. ისეთი ოჯახებიც არის, ორი მანქანა რომ ჰყავთ.

...

რადგან, როგორც ეტყობა, მათთვის ფულის შოვნა იოლი საქმე გამხდარა, თორემ პატიოსან კაცს ერთობ გაუჭირდებოდა უცხოური ავტომობილებისა და მისი სათადარიგო ნაწილების მამასისხლად შოვნა.

ჩვენს რესპუბლიკაში უცხოური მარკის მსუბუქი ავტომობილები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, რიგიდან...შემოაქვთ. თუ გადავხედავთ სტატისტიკას, შემოტანილი ავტომანქანების 48 პროცენტი იმათ ჰყავთ, ვინც საქართველოს ფარგლებს გარეთ შეიძინა. ხოლო დანარჩენი 52 პროცენტი თვითონ რესპუბლიკაში მიჰყიდეს

...

ბაბუნაშვილმა კარგად იცის ჩვენი ქვეყნის რომელ ქალაქში შეიძლება უცხოური ავტომობილის შეძენა. არ გასულა დიდი ხანი და მოსკოვიდან ქუთაისში „მერსედესით" დაბრუნდა. ამ მანქანაზეც „აიცრუა გული".

...

სპეკულანტურ ფასებში ერთმანეთს. აი სად გაშალეს ფრთები სპეკულანტებმა.

...

ჩვენს ტელეეკრანებზე

...

ყურადღება!

სპორტული სეზონის კონტურები

1985 წლის სპორტულ სეზონში საბჭოთა სპორტსმენები ეასპარეზებენ მსოფლიოს 50 და ევროპის 40 ჩემპიონატში. მათგან რამდენიმე დიდი საერთაშორისო შეჯიბრება საბჭოთა კავშირში გაიმართება. მაგალითად, მსოფლიო თასის გათამაშება თხილამურებით რბოლაში (22-23 თებერვალი, სიქტივკარი), მსოფლიო ჩემპიონატი მოტოკროსში (XI ეტაპი, 3-4 აგვისტო, ლენინგრადი), ევროპის ჩემპიონატი წიდიან ბილიკზე მოტორბოლაში (30 ივნისი, როვნო), ევროპის ჩემპიონატი სამბოში (მაისი, მინსკი ან კიევი), და კიდევ ბევრი სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრება.

ცხადია, საბჭოთა სპორტსმენები იასპარეზებენ საზღვარგარეთის სტადიონებზეც. მაგალითად, დიდ ინტერესს იწვევს მათი მონაწილეობა მსოფლიო უნივერსიადაში (ზამთრისა — 17-27 თებერვალს იტალიის ქალაქ ბელუნოში, ზაფხულისა — 24 აგვისტოდან 4 სექტემბრამდე იაპონიის ქალაქ კობეში), კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატში (ვაჟები — 5-16 ივნისი, გფრ; ქალები — 19-30 სექტემბერი, იტალია), სპორტულ და მხატვრულ ტანვარჯიშში მსოფლიო ჩემპიონატში (შესაბამისად 3-10 ნოემბერს მონრეალში და ოქტომბერში ესპანეთის ქალაქ ვალიადოლში), მძლეოსანთა მსოფლიო თასის გათამაშებაში (4-6 ოქტომბერი, ავსტრალიაში) და კიდევ სხვა ჩემპიონატებში.

არანაკლებ საინტერესო ექნება

...

რეები მოეწყობა 10 სახეობაში, ზაფხულისა — 35-ში.

თბილისი უკვე ორ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებას მასპინძლობს: დღეს დამთავრდება 24-ე ტრადიციული ასპარეზობა თავისუფალ ჭიდაობაში და საბოლოო შედეგებზე „კომუნისტის" მომავალ ნომერში ვისაუბრებთ. 7-10 თებერვალს კი ძიუდოისტთა შეჯიბრება გაიმართება.

● ●

სატურნირო ორბიტა

ჭადრაკი. რიგაში გაიმართა ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის (უმაღლესი ლიგა) მეშვიდე ტურის შეხვედრები. ამ დღეს გელერმა მოუგო ა. პეტროსიანს, კუპრეიჩიკმა — რაზუვაევს. სვეშნიკოვ-ტუკმაკოვის, გურგენიძეგავრიკოვის, სმაგინ-ეინგორნისა და ბალაშოვ-გურევიჩის პარტიები ყაიმით დასრულდა. გადაიდო სოკოლოვ-ჩერნინის, აგზამოვ-მიხალჩიშინის, ლერნერ-ფსახისის და ჩულკო-ლპუტიანის პარტიები. ლიდერებს — ბალაშოვს, გავრიკოვს, კურეიჩიკს, ტუკმაკოვს და ეინგორნს 4-4 ქულა აქვთ. გუშინ მოეწყო მერვე ტურის შეხვედრები.

ჩერნიგოვში მიმდინარე ქალთა საკავშირო ჩემპიონატის (უმაღლესი ლიგა), რომელიც ასევე მსოფლიო პირველობის ზონალუ-

...

სამთო-სათხილამურო სპორტი. იტალიის ალპიურ ცენტრში— ბორმიოში დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატი, როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის. შეჯიბრების პირველ და მეორე დღეს სპორტსმენები ასპარეზობდნენ სწრაფდაშვებაში. ამ სახეობაში მედლები ასე განაწილდა ქალები. 1. მ.ვალიზერი (შვეიცარია) — 1. 16, 26; 2. ტ. ჰაეჰერი (გფრ) — 1. 16, 41; 3. კ. ემონე (საფრანგეთი) — 1. 16, 50; ვაჟები. 1. პ. ცურბრიგენი — 2. 00, 36; 2. პ. მიულერი (ორივე — შვეიცარია) — — 2. 00, 56; 3. მ. ვაისმაიერი (გფრ) — 2. 01, 59.

რედაქტორის მოადგილე
გ. ნაჭყებია

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს თეატრალური საზოგადოება, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირი, კინოსტუდია „ქართული ფილმი" ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი

იპოლიტე ალექსანდრეს ძე ხვიჩია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 08454 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, ... საგაზეთო კორპუსი, ... 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20